# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 3 ივნისი 1997 №63 (428) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს საუცხოო ფეხბურთელი!



### „სარბიელის“ ტრადიციული გამოკითხვის შედეგად თემურ ქეცბაია 1996-97 სეზონის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდა

გამოკითხვის სრული შედეგები და თემურ ქეცბაიასთან ინტერვიუ მეორე-მესამე გვერდებზე იხილეთ

გუშინ საქართველოს ეროვნული გუნდი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბა და წყალტუბოს რევაზ ძოძუაშვილის გარეშე გაემგზავრა, რომელიც დღეს ლატვიაში მოთამაშე ახალგაზრდული ნაკრების წევრებთან ერთად ჩამოვა. ჩვენები 3 საათზე წყალტუბოში ჩავიდნენ და ხანმოკლე დასვენების შემდეგ მსუბუქად წაივარჯიშეს კიდეც — ფრენბურთის მოედანზე მხოლოდ თავით გააჩაღეს ბურთაობა ფრენბურთისავე წესებით, შემდეგ კი ჩოგბურთის კორტზე გადაინაცვლეს და იქაც იგივე გაიმეორეს, ოღონდ ამჯერად მხოლოდ ფეხით.

## ეროვნული წყალტუბოში წავიდა

სამწუხაროდ, წყალტუბოში გუნდთან ერთად ვერ გაემგზავრა მურთაზ შელია, რომელსაც ტრავმა აწუხებს და მისი ბათუმში თამაში მეტად საეჭვოა. სხვადასხვა მიზეზთა გამო ჯერჯერობით ნაკრებს არც შოთა არველაძე და ზაზა ჯანაშია ახლავან. ქინქლაძე და გახოკიძე გუნდთან ერთად კი არიან, მაგრამ არ უვარჯიშიათ. ნაკრების ყველა სხვა წევრი ჯანმრთელადაა, არაფერს უჩივიან და დღევანდელი საღამოს 6 საათიდან ქუთაისის „გივი კილაძის“ სტადიონზე უკვე სერიოზულად შეუდგებიან მოლდოვასთან თამაშისთვის მზადებას, დილით კი კროსს ირბენენ.

ყიფიანის განკარგულებაში ჯერჯერობით ესენი არიან:

**მეკარეები** — ირაკლი ზოიძე (დინამო), ნიკა ტოგონიძე (ბათუმი); **მცველები** — კახა ცხადაძე, ლევან კობიაშვილი (ალანია, ვლადიკავკაზი), ნუგზარ ლობჟანიძე (ცსკა, მოსკოვი), გიორგი ჩიხრაძე (შახტიორი, დონეცკი), კახი კალაძე (დინამო), გელა შეყილაძე (ბათუმი); **ნახევარმცველები** — კახა გოგიჩაიშვილი, გიორგი კიკნაძე, გიორგი ანჩაბაძე (დინამო), გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული (ტრაბზონსპორი), გოგა გახოკიძე (ალანია, ვლადიკავკაზი), თემურ ქეცბაია (ნიუკასლი), გიორგი ქინქლაძე (მანჩესტერ სიტი), თემურ ტუღუში (ბათუმი); **თავდამსხმელები** — მიხეილ ყაველაშვილი (მანჩესტერ სიტი), არჩილ არველაძე (ტრაბზონსპორი).

## ახალგაზრდები იმედით ხვალის

31 მაისს შეიკრიბა და 1 ივნისს დიღმის ბაზაზე პირველი სამოლდოვო ვარჯიში ჩაატარა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა. ვლადიმერ გუცაევმა 19 მოთამაშეს უხმო, თუმცა ვარჯიშზე მხოლოდ 16 ჩანდა: მეკარეები — დავით გვარამაძე („ბათუმი“), დავით ასლანაძე („კახეთი“) და ზურაბ ბათიაშვილი (თსუ); მცველები — გივი დიდავა, ირაკლი გემეზაშვილი, გიორგი დავითნიძე („დინამო“), შალვა ხუჯაძე („ტორპედო“), ალეკო გოგობერიშვილი („მერანი“); ნახევარმცველები — მიხეილ საჯაია („აუგსბურგი“, გერმანია), გიორგი რევაზიშვილი („დილა“), მიხეილ ასათიანი („დინამო“), ლაშა მონასელიძე (ასკ), კახა ალადაშვილი („დოქსა დრამა“, საბერძნეთი); თავდამსხმელები — გიორგი დემეტრაძე („დინამო“), მიხეილ აშვეთია, ლევან ქებაძე („ტორპედო“).

პირველ დღეს მხოლოდ 14-მა ივარჯიშა ერთად. მეკარე ზურაბ ბათიაშვილი ნაკრებში პირველად კი გამოიძახეს, მაგრამ გაციებული და ფეხნატკენი იყო, რის გამოც მხოლოდ მსუბუქად, მარტომ ივარჯიშა. ტრავმა აწუხებს და ჯერაც ვერ ვარჯიშობს გივი დიდავა. ვარჯიშისას ინგლისში ნატკენი ფეხი გაუმიზეზდა მიხეილ ასათიანს და მასაჟისტ როლანდ ხვადაგიანის დახმარებითღა მოახერხა მოედნის დატოვება. ნაკრების ექიმის ზურაბ ლომინაძის თქმით, ასათიანის მოლდოველებთან თამაში გამორიცხულია. „მენისკის ნიშნებია, თუმცა უცებ ძნელია ზუსტი დიაგნოზის დადგენა“ — გვითხრა ექიმმა. გუშინ ვერც საჯაიამ ივარჯიშა, რომელსაც ზურგი სტკივა, დონეცკიდან ჩამოსული მიხეილ ფოცხვერია კი, რომელმაც ორი წლით გააგრძელა „შახტიორთან“ კონტრაქტი, უკრაინის თასის ფინალში დაშავებული მარჯვენა ფეხის ტკივილს უჩივის.



გუცაევი მაგალითს იძლევა

იხილეთ მეოთხე გვერდი

## გრანდები დღეს ლიონში იწყებენ

### საფრანგეთი

**მეკარეები**
ფაბიენ ბარტეზი (მონაკო), ლიონელ კარბონიე (ოსერი)

**მცველები**
ლორან ბლანი (ბარსელონა), ვინსენ კანდელა (რომა), მარსელ დესაი (მილანი), ფრანკ ლებეფი (ჩელსი), ბიქსენტ ლისარასუ (ბილბაო), ბრუნო ნგოტი (პსჟ), ლილიამ ტურამი (პარმა)

**ნახევარმცველები**
დიდიე დეშამპი (იუვენტუსი), იური ჯორკაეფი (ინტერი), კრისტიან კარემბუ (სამპდორია), პიერ ლეილი (სამპდორია), პატრიკ ვიეირა (არსენალი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი)

**თავდამსხმელები**
იბრაჰიმ ბა (ბორდო), კრისტოფ დუგარი (მილანი), მარკ კელერი (კარლსრუე), პატრის ლოკო (პსჟ), ფლორიან მორისი (ლიონი), ნიკოლა უედეკი (ესპანიოლი), რობერ პირი (მეცი).

### ბრაზილია

**მეკარეები**
ტაფარელი (ატლეტიკო მინეირო), კარლოს ჟერმანო (ვასკუ და გამა)

**მცველები**
კაფუ (პალმეირასი), სელიო სილვა (კორინთიანსი), გონსალვეში (ბოტაფოგო), მარსიუ სანტუში (ატლეტიკო მინეირო), ალდაირი (რომა), რობერტო კარლოსი (რეალი), ზე მარია (პარმა)

**ნახევარმცველები**
ჟალმინია (პალმეირასი), დენილსონი (სან პაულუ), სეზარ სამპაიუ (იოკოჰამა ფლუგელსი), დუნგა (ჯუბილო ივატა), ფლავიო კონსეისაუ, მაურო სილვა (დეპორტივო), ჯოვანი (ბარსელონა), ლეონარდო (პსჟ), ზე რობერტო (რეალი)

**თავდამსხმელები**
რონალდო (ბარსელონა), რომარიო (ფლამენგო), ედმუნდო (ვასკუ და გამა), პაულუ ნუნიეში (გრემიო).

დღეს, თბილისის დროით 23 საათსა და 45 წუთზე, ლიონის „ჟერლანის“ მინდორზე გიგანტთა ტურნირის პირველ მატჩში მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი ფრანგები მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიელებს შეხვდებიან (ტელერეპორტაჟი RAIDUE). ამ ისედაც საინტერესო მატჩს ინტრიგას ისიც მატებს, რომ ბრაზილიელებმა პარასკევს ოსლოში ნორვეგიელებთან 2:4 წააგეს, რითაც წერტილი დაუსვეს 43 მატჩიან წაუგებელ სერიას.

„ზედიზე ორჯერ, როგორც წესი, არ ვაგებთ ხოლმე. ფრანგებთან მატჩში საკუთარი ღირსებისთვის ბრძოლა მოგვიწევს და მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება“ — განაცხადა ბრაზილიელთა მცველმა ალდაირმა.

არანაკლები ოპტიმიზმია ფრანგთა ბანაკშიც. მწვრთნელი ემე ჟაკე სამივე მატჩის მოგებას იმედოვნებს, თუმცა სავარაუდო შემადგენლობის დასახელებისგან თავი შეიკავა: იტალიის ლიგაში მოთამაშე ექვსი კაცი მხოლოდ კვირა საღამოს შემოგვიერთდა და ჯერ ვერაფერს ვიტყვიო.

ამ მატჩის მიმართ თავისი განსაკუთრებული ინტერესი მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის ორგკომიტეტის თავმჯდომარეს მიშელ პლატინისაც აქვს: „ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების დონის შემოწმება. გვსურს, ლიონში გლობალურად შევამოწმოთ ორგანიზაციული საკითხები: უსაფრთხოება, პრეს-ცენტრი, აკრედიტაციები. ეს ტურნირი ჩვენი ორგკომიტეტისთვის გენერალური რეპეტიცია იქნება.“

### იტალია

**მეკარეები**
ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ჯანლუკა პალიუკა (ინტერი)

**მცველები**
ჩირო ფერარა (იუვენტუსი), ალესანდრო კოსტაკურტა, პაოლო მალდინი (მილანი), ანტონიო ბენარივო, ფაბიო კანავარო (პარმა), ალესანდრო ნესტა (რომა), სტეფანო ტორიზი (ბოლონია), კრისტიან პანუჩი (რეალი)

**ნახევარმცველები**
ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), რობერტო დი მატეო (ჩელსი), დემეტრიო ალბერტინი (მილანი), დინო ბაჯო (პარმა), დიეგო ფუზერი (ლაციო), ჯამპიერო მაინი (ვიჩენცა), ატილიო ლომბარდო (იუვენტუსი)

**თავდამსხმელები**
კრისტიან ვიერი, ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), ფილიპო ინძაგი (ატალანტა), ჯანფრანკო ძოლა (ჩელსი), პიერლუიჯი კაზირაგი (ლაციო), ენრიკო კიეზა (პარმა).

### ინგლისი

**მეკარეები**
დევიდ სიმენი (არსენალი), ტიმ ფლაუერსი (ბლექბერნი), ნაიჯელ მარტინი (ლიდსი)

**მცველები**
გარი ნევილი, ფილ ნევილი, პოლ სქოულზი (მანჩესტერ იუნაიტედი), გრემ ლე სო (ბლექბერნი), სტიუარტ პირსი (ნოტინგემი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), მარტინ კიოუნი (არსენალი), სოლ კემპბელი, ჯონ სქაილზი (ტოტენჰემი)

**ნახევარმცველები**
დევიდ ბეტი (ნიუკასლი), პოლ ინსი (ინტერი), პოლ გესქოინი (გლაზგო რეინჯერსი), ნიკი ბათი, დევიდ ბექემი (მანჩესტერ იუნაიტედი)

**თავდამსხმელები**
ალან შირერი, რობერტ ლი (ნიუკასლი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), იან რაიტი (არსენალი), ენდი კოული (მანჩესტერ იუნაიტედი).

## „აზოტი“ „ქორებს“ გაუტოლდა

საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის IV ტურის მთავარი შეხვედრა გუშინ რუსთავში გაიმართა. აწ უკვე „აზოტად“ წოდებულმა, ყოფილმა რუსთავის „ქიმიკოსმა“ თბილისის „ქორებს“ უმასპინძლა. „ქორებმა“ ჩემპიონატი წარმატებით დაიწყეს და ძალიან მაღლაც აფრინდნენ — გუშინდლამდე დაუმარცხებლად, 6 ქულით ლიდერობდნენ ჩემპიონატს, „აზოტი“ კი 4 ქულით მეორე ადგილზე იყო. შეხვედრაც, რომელიც რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე გაიმართა, მეტად უშელავათოდ დაიწყო, თუმცა მალე ნათელი გახდა, რომ მოსაგებად რუსთაველები უფრო მონდომებულნი იყვნენ. პირველი ტაიმის შუაწელში, პაატა ძოწენიძემ ლელო გაიტანა, თუმცა ემზარ ძაგნიძემ ლელო ვერ გარდასახა და მასპინძლები 5 ქულას დასჯერდნენ. პირველი ტაიმის მიწურულს ძაგნიძემ საჯარიმო გაიტანა და შესვენებაზე მისი თანაგუნდელები რვაქულიანი უპირატესობით წავიდნენ. მეორე ტაიმში დათო ვართანიანმა და აჩიკო კობახიძემ იძალეს, მაგრამ „აზოტის“ უკანახაზელები უშეცდომოდ თამაშობდნენ და ამ ორი ქორელის თანაგუნდელთაგან გამორჩეულმა მონდომებამ უკვალოდ ჩაიარა. რუსთაველთაგან კი თავი არცერთმა დაზოგა და მეორე ტაიმიც მათი დიდი უპირატესობით წარიმართა. „ქორებს“ ისევ ემზარ ძაგნიძემ მოუთავა ხელი — კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა და ანგარიში გაზარდა — 14:0.

„აზოტიც“ და „ქორებიც“ ჩემპიონობის პრეტენდენტებად ითვლებიან, ამიტომ „აზოტს“ ეს გამარჯვება და მოპოვებული ორი ქულა, შესაძლოა, ჩემპიონატის ფინიშზეც მეტად წაადგეს, რადგან ჩემპიონობისთვის ბრძოლისას უშუალო კონკურენტთან მოპოვებული ნებისმიერი ქულა ოქროდ ფასობს.

**ლევან ჯავახიშვილი**
**რუსთავიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორგზის და ორი ქვეყნის საუკეთესო

შვიდი წელი დასჭირდა თემურ ქეცბაიას, რომ მეორედ გამხდარიყო საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი და პირველად ქართული მედიის რჩეული. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა აქამდე შრომითა და გამოცდილებით მოაღწია. მანამდე იყო კიდევ ერთი აღიარება: შარშან თემური საბერძნეთის საუკეთესო მოთამაშედ შერაცხეს.

როგორი იყო ქეცბაიას გზა 1990 წლიდან დღემდე? როგორ გაატარა მან ის შვიდი წელიწადი, როცა ქომაგებს რჩეულის როლში არ შეხვედრია?

ეს არასრული შვიდი წელი ქეცბაიას ნიჭითაა განათებული და ნაოფლარით ნაპკურები.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვერსიით წინა წლის საუკეთესო ფეხბურთელმა 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატი წესისამებრ ძლიერად ჩაატარა. არც ვინმეს გაკვირვებია, ქეცბაიასთვის ეს საქართველოში გატარებული ბოლო სეზონი რომ აღმოჩნდა. მიზეზი ცხადი იყო: ყადაღადადებული საქართველოს ჩემპიონატი დაღმასვლას იწყებდა, თემურს კი თავის მაქსიმუმისთვის ჯერაც არ მიეღწია. ჩვენს ჩემპიონატში მან საკუთარი თავი ბოლომდე გამოავლინა. ორჯერ გახდა ჩემპიონი „იბერიასთან" ერთად. ეს უკვე მიღწეულის ჭერი იყო, ქეცბაიას მხოლოდ გაუფერულებაღა ელოდა. ამიტომაც მოხერხდა გამონაკლისის წესით უცხოეთში გადასვლა, ოღონდ არცთუ ძლიერ საფეხბურთო ქვეყანაში, კვიპროსზე.

თემურ ქეცბაია იყო მეორე ქართველი ფეხბურთელი, ვინც 1990 წლის შემდეგ ქართული კლუბიდან უცხოეთში გადავიდა.

ქეცბაიამ მალე დაისახურა „ანორთოსისის" გულშემატკივართა სიყვარული. მის გუნდს შეეძლო, 29 წლის შემდეგ კვლავ გამხდარიყო კუნძულის ჩემპიონი, მაგრამ ცოტა დააკლდა და მეორე ადგილს დასჯერდა.

მომდევნო წელს „ანორთოსისმა" თასის დაუფლება მოინდომა, მაგრამ აქაც ხელი მოეცარა: ფინალში 0:1 წააგო ყიზილაშვილის „ომონიასთან".

1994 წელს „ანორთოსისმა" ორი წლის წინანდელი მიღწევა გაიმეორა და, მართალია, ქეცბაია კვიპროსის ჩემპიონი ვერ გახდა, ნათელი იყო, მას სხვა, უფრო ძლიერი ქვეყნისკენ უნდა აეღო გეზი.

ქეცბაია კვიპროსელთა განმანათლებლადაც შეიძლება ჩაითვალოს. კუნძულზე გატარებული წლები იქაური ფეხბურთის აღმასვლას დაემთხვევა.

ქეცბაია კუნძულიდან კონტინენტზე გადმოსახლდა. იქვე მეზობელ საბერძნეთს მიაშურა და თავისი ნიჭი იქაურობასაც დაატყო. თემურის დებიუტი აეკ-ში უიღბლო გამოდგა — ჩემპიონთა თასზე „რეინჯერსთან" თამაშისას დაშავდა. მისი გუნდი საბერძნეთის ჩემპიონატში ოდენ მეხუთე ადგილზე გავიდა, თასის ფინალში 0:1 დამარცხდა „პანათინაიკოსთან". სამაგიეროდ, ბოლო ორ წელია, აეკი აღარც მეორე ადგილის ჩამოსცილებია და არც თასი დაუთმია ვინმესთვის. ამას ისიც დაემატა, რომ ქართველი საბერძნეთის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს და მისით ევროპის რამდენიმე ძლიერი გუნდი დაინტერესდა.

„კაიზერსლაუტერნი", „შეფილდ იუნაიტედი", „ქუინზ პარკი"... ეს სია ერთობ გაგრძელდებოდა, ინგლისურ „ნიუკასლს" რომ არ ემარჯვენა, რადგან ქეცბაიასნაირ ფეხბურთელზე არავინ იტყვის უარს, ყოველ შემთხვევაში, არ მოიძებნება ისეთი ქართველი, რომელსაც ერთად აღებული „რეინჯერსთან", „კაზინოსთან", „აიაქსთან", „მილანთან", „სტიაუასთან" და „იუვენტუსთან" ჰქონდეს ნათამაშევი, ბოლო ორისთვის კი სულაც გოლი გაეტანოს. ჩემპიონთა ლიგაშიც ხომ მხოლოდ მას და მიშა ჯიშკარიანს უთამაშიათ.

თემურ ქეცბაიას ინგლისში გადაბარგებას მისმა წარმატებულმა სეზონმა შეუწყო ხელი. იგი საუკეთესო იყო აეკ-ში ევროტურნირებზე და საქართველოს ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ ქეცბაიამ „კაიზერსლაუტერნის" თავკაც ოტო რეჰაგელისა და შეფილდელთა მწვრთნელ ჰოვარდ კენდალის ყურადღება მიიპყრო. ამ უკანასკნელმა სულაც ათენსა და პარიზში ჩააკითხა თემურს, მაგრამ...

ქეცბაიას და აეკ-ს თასების თასის ნახევარფინალში გასვლის შანსი მიეცათ, როცა პარიზში პსჟ-თან 0:0 ითამაშეს, მაგრამ ათენში პატრის ლოკომ სამი უპასუხო გოლი გაუტანა ბერძნებს. ჰეთ-თრიქის ავტორზე ნაკლები ყურადღება „როიტერის" სააგენტომ არც ქეცბაიას დაუთმო: „ქართველმა თამაშის დაწყებიდან რვა წუთის შემდეგ 20 მეტრიდან ოდნავ ააცილა, შემდეგ კი სავევსკი გაიყვანა კარგ პოზიციაზე...

...65-ე წუთზე ქეცბაიამ შორიდან უძლიერესად დაარტყა. ბერნარ ლამამ შემთხვევით აღმოაჩინა, რომ ბურთი მკერდზე მოხვდა..."

...მიუხედავად თემურის მართლაც საუცხოო თამაშისა, რასაც ისიც ადასტურებს, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მან სულ სამჯერ დაჰკარგა ბურთი, ნახევარფინალში „პარი სენ ჟერმენი" გავიდა.

ქეცბაიამ ინგლისთან მატჩებიც ძლიერად ჩაატარა, რისთვისაც ერთ-ერთი ბრიტანელი ჟურნალისტისგან ასეთი დახასიათება მიიღო: თემურ ქეცბაია, ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრების ლიდერია. ვფიქრობ, იგი ღირსეულად გახდა საბერძნეთის საუკეთესო ფეხბურთელი, 9 ნოემბერს იგი ერთადერთი იყო ქართველთაგან, რომელმაც ღირსეულად ჩაატარა მთელი მატჩი. მისი კლუბი პსჟ-ს რომ შეხვდა, იგი საუკეთესო იყო მინდორზე, მაგრამ, რომ იტყვიან, ერთი კაცით ომს ვერ მოიგებ.

შედეგად, თემურმა მაინც წინ წაიწია. „ნიუკასლის" მწვრთნელ კენი დალგლიშს გულში ჩაუვარდა და წელს ჩემპიონთა ლიგაში მოთამაშე გუნდში გადავიდა. მისი სიხარული უსაზღვრო იყო: ეს ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. ასეთი დონის კლუბში ჯერ არ მითამაშია. მიხარია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩემპიონატში გამოვალ. კლუბი სავსეა მსოფლიოს დონის ვარსკვლავებით. დიდი სურვილი მაქვს, მათ შორის მეც დავიკავო ადგილი. ინგლისის პრემიერლიგა თანდათან ძლიერდება და მჯერა, ერთ-ორ წელიწადში „ნიუკასლს" უძლიერესთა შორის მოიხსენიებენ.

ახლა ამ სიხარულს ეს მიემატა — თემურ ქეცბაია მშობლიური ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელია.



უემბლი, 30 აპრილი. თემურ ქეცბაია დევიდ ბექემს გაურბის



## თემურ ქეცბაია

**თბილისის „იბერია"**

1990 — ჩემპიონი. 33 მატჩი, 11 გოლი

1991 — ჩემპიონი. 17 მატჩი, 4 გოლი

**ფამაგუსტას „ანართოსისი"**
**კვიპროსი**

1991-92 — მეორე ადგილი. 26 მატჩი, 13 გოლი

1992-93 — მეხუთე ადგილი. 24 მატჩი, 4 გოლი

1993-94 — მეორე ადგილი. 26 მატჩი, 19 გოლი

**ათენის ა.ე.კ.**
**საბერძნეთი**

1994-95 — მეხუთე ადგილი. 22 მატჩი, 5 გოლი

1995-96 — მეორე ადგილი. 32 მატჩი, 14 გოლი; თასის მფლობელი

1996-97 — მეორე ადგილი. თასის მფლობელი

## „სარბიელის" გამოკითხვის წინა ოთხი გამარჯვებული

1993 — გიორგი ქინქლაძე

1994 — შოთა არველაძე

1995 — აკაკი დევაძე

1996 — გიორგი ქინქლაძე

# საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი 1996-97

## „სარბიელის" გამოკითხვა

ამჯერად გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 45-მა ჟურნალისტმა, რომელთაგან 43-მა (!) თემურ ქეცბაია პირველ ნომრად დაასახელა, რაც ჩვენი გამოკითხვის ხუთწლიან ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია. ასევე პირველად მოხდა, რომ საუკეთესოთა საბოლოო სამეულში არ არის შოთა არველაძე, ვინც წინა ოთხივე გამოკითხვის „პრიზიორი" გახლდათ. რაც შეეხება ქულათა დარიცხვის სისტემას, ის უცვლელი დარჩა — პირველი ადგილისთვის 5 ქულა, მეორისთვის — 3, მესამისთვის — 1

| შედეგები | | | ქულა | I 5 | II 3 | III 1 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | თემურ ქეცბაია | ა.ე.კ. | 218 | 43 | 1 | — |
| 2. | ლევან კობიაშვილი | დინამო, ალანია | 68 | — | 19 | 11 |
| 3. | გიორგი დარასელია | კოლხეთი | 23 | 1 | 5 | 3 |
| 4. | გიორგი ნემსაძე | ტრაბზონსფორი | 21 | — | 5 | 6 |
| 5. | გიორგი ქინქლაძე | მანჩესტერ სიტი | 19 | — | 5 | 4 |
| 6. | გოჩა ჯამარაული | ტრაბზონსფორი | 13 | — | 3 | 4 |
| 7. | შოთა არველაძე | ტრაბზონსფორი | 8 | — | 2 | 2 |
| 8. | კახა გოგიჩაიშვილი | დინამო | 7 | — | 1 | 4 |
| 9. | გელა შეყილაძე | ბათუმი | 5 | 1 | — | — |
| 10-11. | ნუგზარ ლობჟანიძე | დინამო, ცსკა | 4 | — | 1 | 1 |
| 10-11. | გიორგი დემეტრაძე | დინამო | 4 | — | — | 4 |
| 12. | კახა კვეტენაძე | ტორპედო | 3 | — | 1 | — |
| 13. | მიხეილ ფოცხვერია | შახტიორი | 2 | — | — | 2 |
| 14-15. | ლევან ცქიტიშვილი | დინამო | 1 | — | — | 1 |
| 14-15. | ვარლამ კილასონია | დნეპრი | 1 | — | — | 1 |

| | | | |
|---|---|---|---|
| მიხეილ აბაიშვილი („კაპიტალი") | ქეცბაია | ნემსაძე | გოგიჩაიშვილი |
| გოგი ახვლედიანი („რეზონანსი") | ქეცბაია | კობიაშვილი | ქინქლაძე |
| ილია ბაბუნაშვილი („სარბიელი") | ქეცბაია | კობიაშვილი | ლობჟანიძე |
| დათო ბაკურაძე („რეზონანსი") | ქეცბაია | დარასელია | კობიაშვილი |
| ბიძინა ბარათაშვილი („საქართველოს სპორტი") | ქეცბაია | კობიაშვილი | შ. არველაძე |
| დათო ბერიაშვილი („ქართული ფეხბურთი") | ქეცბაია | კობიაშვილი | ფოცხვერია |
| ვახტანგ ბზიკაძე („სარბიელი") | ქეცბაია | კობიაშვილი | დარასელია |
| გიგა გვენცაძე (ტელევიზია, I არხი) | ქეცბაია | შ. არველაძე | კობიაშვილი |
| აკაკი გვიმრაძე („რეზონანსი") | ქეცბაია | კობიაშვილი | გოგიჩაიშვილი |
| სოლომონ გულისაშვილი („რეზონანსი") | ქეცბაია | ქინქლაძე | კობიაშვილი |
| ავთო გურასაშვილი („ოლიმპიელი") | ქეცბაია | ქინქლაძე | შ. არველაძე |
| ვახტანგ დარასელია (11X11) | ქეცბაია | კობიაშვილი | ნემსაძე |
| ბიძინა დარჩია (ფაზისი TV, ფოთი) | ქეცბაია | ქინქლაძე | ნემსაძე |
| ლაშა დვალიშვილი (ტელევიზია, I არხი) | ქეცბაია | კობიაშვილი | ნემსაძე |
| გია ეჯიბია (ფაზისი TV, ფოთი) | ქეცბაია | ქინქლაძე | დარასელია |
| დათო თავართქილაძე („ლელო") | ქეცბაია | გოგიჩაიშვილი | დემეტრაძე |
| კობა ინასარიძე („სარბიელი") | ქეცბაია | ჯამარაული | ფოცხვერია |
| იუზა კაციტაძე („სარბიელი", ქუთაისი) | დარასელია | კვეტენაძე | დემეტრაძე |
| ფრიდონ კერვალიშვილი („რეზონანსი, ქუთაისი) | ქეცბაია | დარასელია | დემეტრაძე |
| მამუკა კვანტალიანი („სარბიელი") | ქეცბაია | ჯამარაული | კობიაშვილი |
| მამუკა კვარაცხელია („სარბიელი") | ქეცბაია | — | — |
| მერაბ კვირკვია (ტ/კ „რიონი", ქუთაისი) | ქეცბაია | დარასელია | კობიაშვილი |
| მერაბ მამულაშვილი („სარბიელი") | ქეცბაია | კობიაშვილი | ჯამარაული |
| ზურაბ მეძველია („სარბიელი") | ქეცბაია | ლობჟანიძე | კობიაშვილი |
| დათო მინაშვილი (რადიო, I არხი) | ქეცბაია | კობიაშვილი | ნემსაძე |
| გივი მომცემლიძე (11X11) | ქეცბაია | ნემსაძე | კობიაშვილი |
| გიორგი მურვანიძე (აჭარის ტელევიზია) | შეყილაძე | ქეცბაია | დემეტრაძე |
| ვოვა ნიკოლაიშვილი (ტელევიზია, I არხი) | ქეცბაია | ნემსაძე | ქინქლაძე |
| თენგიზ პაჭკორია („საქინფორმი") | ქეცბაია | კობიაშვილი | ქინქლაძე |
| გია პლატონიშვილი („საქართველოს რესპუბლიკა") | ქეცბაია | კობიაშვილი | ჯამარაული |
| ზვიად სეხნიაშვილი (ტ/კ „კლდეკარი", რუსთავი) | ქეცბაია | კობიაშვილი | ვ. კილასონია |
| გოჩა ტალახაძე (11X11) | ქეცბაია | ქინქლაძე | ჯამარაული |
| ვალერი ტორონჯაძე (რადიო, I არხი) | ქეცბაია | დარასელია | ქინქლაძე |
| გია ტუხაშვილი („ფეხბურთი") | ქეცბაია | კობიაშვილი | ნემსაძე |
| ზურაბ უსუფაშვილი (ტ/კ „რუსთავი 2") | ქეცბაია | კობიაშვილი | ჯამარაული |
| პაატა ყურაშვილი („ფუტბოლი", რუსეთი) | ქეცბაია | კობიაშვილი | გოგიჩაიშვილი |
| რევაზ შენგელია (სფფ-ს პრეს-სამსახური) | ქეცბაია | კობიაშვილი | ცქიტიშვილი |
| რამაზ ჩხიკვაძე (რადიო, I არხი, ქუთაისი) | ქეცბაია | დარასელია | კობიაშვილი |
| დავით ცაბაძე (11X11) | ქეცბაია | ნემსაძე | კობიაშვილი |
| სანდრო ცნობილაძე (რადიო, I არხი) | ქეცბაია | ჯამარაული | კობიაშვილი |
| ჯემალ ჭიპაშვილი („ლელო") | ქეცბაია | კობიაშვილი | დარასელია |
| თემურ ჯაფარიძე (ტელევიზია, I არხი) | ქეცბაია | — | — |
| მიხეილ ჯაში (11X11) | ქეცბაია | კობიაშვილი | ნემსაძე |
| ალექსანდრე ჯიბლაძე (რადიო, I არხი) | ქეცბაია | ნემსაძე | კობიაშვილი |
| თამუნა ჯიშკარიანი (ტელევიზია, II არხი) | ქეცბაია | შ. არველაძე | გოგიჩაიშვილი |

*საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი წელს „უემბლის“ უნდა დაესახელებინა...

ლონდონში წარმატებული თამაში მართლაც იყო იმის გარანტია, რომ ქართული მედია „სარბიელის“ პრიზს „უემბლიზე“ საუკეთესო ქართველ ფეხბურთელს მიაკუთვნებდა.

„უემბლიმ“ კი აღიარა:

„ორივე გუნდში საუკეთესო თემურ ქეცბაია იყო...“

„უემბლი“ არ შემცდარა. არც დალგლიში შემცდარა. აკი ამიტომაც იყო, ქეცბაიას ყოველი გარღვევისა თუ კარგი თამაშის მერე პრესლოჟაში დამონტაჟებულ მონიტორზე კენი დალგლიშის ამაყ სახეს რომ გვიჩვენებდნენ.

მოკლედ, ქეცბაია ღირსეულად გახდა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი. აეკ-შიც და ნაკრებშიც ყოველი მატჩი მისთვის ჩვეულად ანუ გამორჩეულად კარგად ითამაშა და ნაყოფიც საკადრისი მოიმკო — ევროპაში ერთ-ერთმა უძლიერესმა და უმდიდრესმა „ნიუკასლმა“ უხმო — შირერის, ასპრილიას, ბეტის, ფერდინანდის გვერდით!

არც ჟურნალისტები შემცდარან:

შარშანდელ გამარჯვებულ გიო ქინქლაძეს ორმა ტრავმამ ორჯერ გამოატოვებინა თვენახევარი და რაც მთავარია, „უემბლიზე“ გამოცდა არ ჩააბარებინა. თორემ, როგორ უყვართ ინგლისში, თავადაც ვნახე და მის გასვლას რომ ტაში მოჰყვა, ალბათ მარტო პატივისცემისა არ იყო: ინგლისელმა ფანებმა ამოისუნთქეს — აწი ალბათ მოვიგებთო.

შოთა არველაძეც ტრავმებმა გააწამა, ინგლისელებთან თბილისურ მატჩში თავდადება ძვირად დაუჯდა — საოპერაციო შექნა და რამდენიმე თვე არც უთამაშია. თუმცა, შოთას ერთი გოლი „უემბლიზე“ ყველაფერს გადასწონიდა...

მთავარი კი მაინც ისაა, რომ გიო და შოთა ქართველ გულშემატკივარს „სიტისა“ და „ტრაბზონისთვის“ აღარ ემეტება.

ბრწყინვალედ ჩატარებული პირველი წრის მერე ჯამარაული „ტრაბზონმა“ ჩაყლაპა და თავის გამოჩენის საშუალება არ მისცა, თორემ პირველი წრის მერე გოჩა უდაოდ საუკეთესო იყო.

იგივე შეიძლება ითქვას ნუგზარ ლობჟანიძეზეც. ძლიერად ჩატარებული საკლუბო თუ სანაკრებო მატჩების მერე სკოლეტას ცეესკაში რუსულ ფეხბურთთან შეგუების ჟამი უდგას და ისე ეფექტურად ვეღარ გამოიყურება. ავადმყოფობამ კი „უემბლიც“ გამოატოვებინა. არადა, ამ თამაშს მისი აქციების ერთიორად აწევა შეეძლო.

ლევან კობიაშვილსაც ზედ ცხვირწინ მიუჯახუნა ბედმა კარი: ლევანს შეეძლო, „უემბლიზე“ დიდი როლი ეთამაშა... ნუ გამოვრიცხავთ, რომ ეს შესაძლოა მომავალში მოხდეს...

გიორგი ნემსაძეც უაზრო ტრაბზონულ ექსპერიმენტებს შეეწირა და აკი კლუბი ბოლო ხუთ წელიწადში პირველად დარჩა საპრიზო ადგილებს მიღმა.

ჩვენს ჩემპიონატში კი, თუკი ვინმეს შეიძლება საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელობაზე პრეტენზია ჰქონდეს, კახი გოგიჩაიშვილია, მაგრამ ბედმა კახასაც ორჯერ უმუხთლა, ორჯერვე ბოლო წუთზე და ძლიერ გუნდში გადასვლაც გვერდზე დარჩა და „უემბლიც“. აქ კი, საქართველოში, გოგიჩაიშვილი ისე გამოირჩეოდა დანარჩენებში, როგორც ყოჩი ფარაში — ერთი თავით სჯობდა ყველას. შელიას და ცხადაძეს ბედთან ერთად გაზაევმაც უგანა, რომ... პრეტენზიებმაც ერთი კინაღამ უგუნდოდ, მეორე კი უფეხოდ დატოვა...

...ზემოთ ხშირად ვახსენებდი — ბედმა უმუხთლა, ბედმა არ გაუღიმა და ასეც იყო. ერთადერთი ფეხბურთელი ამ სეზონში, ვისაც ბედი მუდამ უღიმოდა, თემურ ქეცბაია იყო. ბედმა კი იცის, რომ ძლიერს უნდა გაუღიმოს. ყოველივე ზემოთ ნათქვამი ოდნავაც ვერ აკნინებს ქეცბაიას, პირიქით, მეტ ხიბლს მატებს, რადგან იგი ერთდროულად გახდა ბედის, დალგლიშის, ქართველ ჟურნალისტთა და „სარბიელის“ რჩეული.

...სხვათა შორის, ქეცბა საინგლისოდ უკვე მოემზადა — კანტონასა და ჟინოლით თავი უკვე გადაიხოტრა. ჯერი თამაშზეა...

სანამ თემურს დაველაპარაკებოდი, გიო ქინქლაძეს ვთხოვე კომენტარი:

— წელს ქეცბაიას წელი იყო ულაპარაკოდ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ქართველთაგან პირველმა მან შეაბიჯა ევროპულ ელიტაში — „ნიუკასლის“ სიძლიერის ამბები მე მკითხეთ. ნაკრებშიც საუკეთესო იყო...



# ბედნიერი მაშინ ვიქნები, როცა აფხაზეთში დავბრუნდებით

**— თემურ, ელოდი პირველობას?**

— არა, მოულოდნელი იყო. საქართველოში იმდენი კარგი ფეხბურთელია...

**— ახლა რას გრძნობ?**

— გამიხარდა, რომ ჩემი შრომა და გარჯა დაფასდა, თუმცაღა მოგვიანებით.

**— ამას იმიტომ ხომ არ ამბობ, რომ ჟურნალისტებზე ნაწყენი ხარ? ადრე აკი განაცხადე კიდეც ამის შესახებ ერთ-ერთ ინტერვიუში...**

— არა, ჟურნალისტებისგან ის კი მწყენია, მე რატომ არ დამასახელეს-მეთქი. ის მწყინდა, რომ 6 წელია წასული ვარ და ჩემი ბედით არავინ დაინტერესებულა. მიუხედავად ამისა, მაინც ვაკეთებდი ჩემს საქმეს, ვშრომობდი და ამას არ ვაქცევდი ყურადღებას. მარტო ქეცბაიაში არ არის საქმე, ჟურნალისტები ყველა წასული ფეხბურთელის ბედით უნდა დაინტერესდნენ.

**— შენ საუკეთესო ფეხბურთელად 1990 წელსაც დაგასახელეს. მაშინ პირველობა ფედერაციამ მოგანიჭა. რომელი ტიტული უფრო ძვირფასია შენთვის, მაშინდელი თუ ახლანდელი?**

— ალბათ არავის ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ მაშინდელი. მაშინ სსრკ ჩემპიონატიდან ახალი გამოსულები ვიყავით, ჩვენში ბევრი ძლიერი გუნდი იყო, ტოლს რომ არავის დაუდებდნენ. „დინამოს“ აკი ძალზე გაუჭირდა ჩემპიონობის მოპოვება. მთავარი ეშხი კი იმას ჰქონდა, რომ ეს იყო საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული. გავა წლები, საქართველოს ბევრი საუკეთესო ფეხბურთელი ეყოლება, მაგრამ პირველი მაინც პირველად დარჩება.

**— შენ ვის დაასახელებდი წელს?**

— ზემოთაც გითხარით, საქართველოში ბევრი ძლიერი ფეხბურთელია-მეთქი — მურთაზ შელია, ლევან კობიაშვილი, გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე. ხომ გახსოვს, „უემბლიზე“ რამდენი შეცვლა გაკეთდა ორივე გუნდში და ისეთი ტაში, როგორიც ქინქლაძეს ერგო გამოცვლისას, ინგლისელი ფეხბურთელებისთვისაც კი არ გაუმეტებიათ. ეს კი ისე არ მოდის...

**— განა საბერძნეთში შენც ასევე პოპულარული არ იყავი?**

— საბერძნეთში იმხელა ფულს მთავაზობდნენ ჩემი და სხვა კლუბებიც, რომ ჯერ არცერთი ფეხბურთელისთვის არ შეუთავაზებიათ, ის კი არა, არ სმენიათ კიდეც ამხელა თანხა. მაგრამ ჩავთვალე, რომ საბერძნეთში ჩემი უკვე ამოვწურე და წასვლა გადავწყვიტე. ჩემი მიზანი მუდამ ეს იყო: მეთამაშა დიდი ფეხბურთი. ინგლისში უფრო მაღალი დონის ჩემპიონატია და ამიტომაც მივდივარ. დარწმუნებული რომ არ ვიყო ჩემს შესაძლებლობებში, ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი.

**— ახალ გუნდში რა მიზნებით მიდიხარ?**

— დალგლიში დიდი მწვრთნელია, სადაც მივიდა, გუნდი ჩემპიონი გახადა. ალბათ „ნიუკასლშიც“ ეს მიზნები ექნება. ჩემი მიზანიც ის იქნება, რომ კლუბის აღზევებას შევუწყო ხელი.

**— შირერთან თამაში მოგიწევს...**

— შირერთანაც და სხვა ძლიერ ფეხბურთელებთანაც. ჩემი მთავარი ამოცანა ამათ კომპანიაში ადგილის დამკვიდრება იქნება. მე მზად ვარ ამისთვის.

**— დალგლიშს თუ ესაუბრე?**

— სიმართლე გითხრა, დალგლიში არც მინახავს და არც მისაუბრია. კონტრაქტზე გუნდის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს ველაპარაკე, ბევრი ვესაუბრე დალგლიშის თანაშემწე ტერი მაკდერმოტსაც. მათ მაგრძნობინეს, რომ ვჭირდები და მეც ეს არ მინდა?!

**— ის არ გაფიქრებს, რომ ნიუკასლელებს ინგლისში ჯორდებს, ანუ სოფლელებს ეძახიან?**

— ისე, მართალი გითხრათ, მათი ინგლისური არც მესმოდა. ინგლისურად, ასე თუ ისე, ვლაპარაკობ, ისინი კი თავის შოტლანდიურთან მიახლოვებულ ინგლისურს რომ ჩართავდნენ, ვთხოვდი ხოლმე, იქნება ნორმალური ინგლისურით მელაპარაკოთ, თქვენი არ მესმის-მეთქი. მერეღა ხვდებოდნენ და ჩვეულებრივ, სალაპარაკო ინგლისურზე გადადიოდნენ, რასაც ჩინებულად ვიგებდი.

**— კარიერა „ნიუკასლში“ გინდა დაამთავრო?**

— ჯერ კარიერის დასასრულზე არ მიფიქრია, 29 წლის ვარ და სამი სეზონი ნიუკასლში უნდა ვიყო. ისე, რა თქმა უნდა, ყველა ფეხბურთელი იმას ოცნებობს, კარიერა ძლიერ კლუბში დაამთავროს და არც მე ვარ გამონაკლისი.

**— მერე რას აპირებ?**

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია, მაგრამ უფეხბურთოდ რომ ვერ გავძლებ, ნაღდია. ფეხბურთი ძალიან მიყვარს, ფეხბურთმა ყველაფერი მომცა და მისი უზომოდ მადლიერი ვარ.

**— შენ რომ კვიპროსზე წახვედი, ბევრმა ეს ნაბიჯი სხვაგვარად აღიქვა...**

— ფეხბურთის თამაში მინდოდა, პირველი ჩემპიონატის მერე კი საქართველოში ფეხბურთი უკან-უკან წავიდა. მუდამ იმას ვცდილობდი, პროფესიონალი ვყოფილიყავი, მაგრამ საქართველოში პროფესიონალად ვერ ჩამოვყალიბდებოდი. პროფესიონალად სწორედ კვიპროსზე ჩამოვყალიბდი. როცა კონტრაქტი დამიმთავრდა, კვიპროსზეც დიდი ფული მაძლიეს, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან მივხვდი, რომ ჩემი შესაძლებლობები გასცდა კვიპროსს.

**— საბერძნეთში გატარებულმა წლებმა რა მოგცა?**

— საბერძნეთში ჩემპიონი ვერ გავხდი, არადა, მანამდე აეკი უძლიერესი გუნდი იყო ზედიზედ სამ წელიწადს. თუმცა, საბერძნეთმა მაინც ბევრი მომცა, როგორც ფეხბურთელს, აღიარებაც მომიტანა. თუნდაც ის რად ღირს, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშე: „მილანისა“ და „აიაქსის“ წინააღმდეგ თამაში დიდი სკოლა იყო. სამწუხაროდ, საბერძნეთში ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ძლიერი კლუბი ჩემპიონი ვერ გახდეს, უამრავმა მაქინაციებმა ამის შესაძლებლობა მოუსპოს. სწორედ ასე დაემართა ჩვენს აეკს.

ისე, მეამაყება, რომ სადაც არ ვიყავი, კვიპროსსა თუ საბერძნეთში, საქართველოს ღირსეულად წარმოვადგენდი. მუდამ ვცდილობდი, რომ ხაზი გამესვა — საქართველო რუსეთი არ არის, ცალკე ქვეყანაა, თავისი დამწერლობით, კულტურით, ტრადიციებით, ხალხით. მე ეს მოვახერხე. კვიპროსზე საქართველოს არავინ იცნობდა და იმდენი ვქენი, ყველამ გაიცნო. საბერძნეთში უჩემოდაც იცნობდნენ საქართველოს, მაგრამ მე აქაც ვეცადე, უფრო მეტს გაეცნო ჩემი სამშობლო. მე ისიც მეამაყება, რომ სწორედ ჩემი კარგი თამაშის შემდეგ დაინტერესდნენ ბერძნები ქართველი ფეხბურთელებით. კი, საბერძნეთი ვერ არის ევროპის გრანდთა შორის, მაგრამ მისი ტრამპლინად გამოყენება რომ შეიძლება, ჩემმა მაგალითმაც დაგვანახა. მოკლედ, სადაც არ ვიყავი, ჩემი ქვეყნის და ხალხის გახარებას ვცდილობდი.

**— ახლა ნაკრებზეც ვთქვათ. მას მერე, რაც ინგლისთან დამარცხების მერე საფრანგეთში წასვლის შანსი დავკარგეთ, რა გვრჩება?**

— უკვე დროა და მეტოქეებიც ისეთნი მოდიან, მოგებაზე უნდა ვიფიქროთ. კი, წავაგეთ ინგლისთან, მაგრამ ინგლისი და იტალია ევროპის გრანდები არიან და მათთან ნებისმიერი ნაკრები წააგებს. მთავარი ის იყო, რომ „უემბლიზე“ არ შევრცხვით ისე, როგორც თბილისში. ცუდად არ გვითამაშია და ჩვენი პოტენცია ყველას დავანახეთ.

**— შენი აზრით, „უემბლიზე“ მოგება შეიძლებოდა?**

— მოგება არა, მაგრამ ფრე ნაღდად შეიძლებოდა...

**— ესე იგი, მოგების იმედი არ გქონდა თამაშის წინ...**

— არა, მთლად ასე არ არის. რა ნაკრებიც უნდა იყოს მეტოქე, გულის კუნჭულში მაინც გიღვივის მოგების იმედი და ყველა ჩვენგანს ჰქონდა ეს იმედი.

**— მაშ, ჯერ ძლიერებთან მოგების შანსი არ გვაქვს?**

— როგორ არა გვაქვს, მაგრამ ჯერ ისე გამოცდილები ვერა ვართ, როგორც ისინი. ჩვენ 2-3 წელია, უმაღლეს დონეზე დავიწყეთ თამაში, ინგლისი კი სულ ამ დონეზე თამაშობს. თანაც, დღეს ისე აღარ არის, რომ ძლიერმა კლუბმა აუცილებლად უნდა მოუგოს. ადრე ასე იყო, მაგრამ ახლა სხვა დროა. საფრანგეთში ვეღარ მოვხვდებით, მესამე ადგილს თუ დავიკავებთ და მოლდოვეთს გავუსწრებთ, წარმატება იქნება. მომდევნო ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე კი აუცილებლად უნდა გავიდეთ. ორიოდე დღის წინ ნორვეგიამ ბრაზილიას 4:2 მოუგო. ჩვენ კი ნორვეგიას ნორვეგიაში არაფერი დავუთმეთ და შემთხვევით წავაგეთ. მოკლედ, ეს მაგალითიც მიუთითებს იმაზე, რომ დიდი პოტენცია გვაქვს.

**— კი მაგრამ, აღარ არის დრო, ჩვენი პოტენცია ავამოქმედოთ?**

— რა თქმა უნდა, დროა, მაგრამ ერთს გეტყვი: ის ეტაპი, ჩვენ რომ გავიარეთ, გამოცდილების მიღების მიზნით აუცილებლად უნდა გაგვევლო. მიმაჩნია, რომ დიდი წარმატებები მხოლოდ მაშინ მოვა, როცა ქვეყანა დაეწყობა.

**— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე რისი იმედი გვაქვს?**

— იმ გამოცდილების გამოყენების, რაც უკვე მივიღეთ ორ შესარჩევ ციკლში.

**— პოტენციაო, ამბობ. განა ჩვენი ნაკრების პოტენციას ფიფას რეიტინგში 102-ე ადგილი შეესაბამება?**

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ აქ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი. ეს მაჩვენებელი შედეგების მიხედვით გამოჰყავთ და ამიტომაც ვარ 102-ე ადგილზე. პოტენციით კი, პირველ ათეულს და ოცეულს ვერ ვიტყვი, მაგრამ ორმოცდაათ საუკეთესო გუნდში აუცილებლად უნდა ვიყოთ. კვიპროსი და საბერძნეთი ვერაფრით გვჯობნიან და ჩვენზე წინ არც უნდა იყვნენ.

**— შენს ამ წარმატებას ვის უძღვნი?**

— ჩემს ოჯახს და აფხაზეთიდან ყველა დევნილს. ახლა, ამ სიტყვებს რომ გეუბნები, ეკლები მაყრის ტანზე. წელან გითხარი, ბედნიერი კაცი ვარ, ჩემი მიზნები რომ მისრულდება-მეთქი. ბევრჯერ მიფიქრია ბედნიერებაზე და იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ, რასაც ღვთის წყალობით მივაღწიე, ჩემი მიზნების 90 პროცენტია. ის დარჩენილი ათი პროცენტი დევნილების აფხაზეთში დაბრუნებაა. აი, მაშინ, როცა აფხაზეთში დავბრუნდებით, ვიტყვი, ჩემი მიზნები ასი პროცენტით ასრულდა-მეთქი და მაშინ ვიქნები ბედნიერი კაცი.

**— სხვას რას აპირებს ქეცბაია ინგლისში?**

- „ნიუკასლის“ მიზნები ჩემი მიზნებია და მინდა „ნიუკასლის“ წარმატებაში ჩემი წვლილიც იყოს. აეკს ჩემპიონთა ლიგაში სხვა მიზანი ჰქონდა, „ნიუკასლს“ — უფრო დიდი მიზნები ექნება...

**— საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელს გვარის გამგრძელებელი არ უნდა?**

— ჩავალთ ინგლისში და მაგ საკითხსაც მივხედავთ...

**მამუკა კვარაცხელია**



თემური პატარა ლინდას ძამიკოსაც ჰპირდება

# ახალგაზრდები იმედით ხვალის

გუშინწინ ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშის შემდეგ რამდენიმე მოთამაშეს გავესაუბრეთ, პირველად მერანელ ალეკო გოგობერიშვილს, რომლის გვარიც ამ ერთი წლის წინ რამდენიმე სპეციალისტმა თუ იცოდა. „მერანში“ გატარებულმა სეზონმა გოგობერიშვილი ისე გამოაჩინა, რომ მისი წაყვანა „დინამოსაც“ სურს და ძოძუაშვილსაც, ლატვიაში. ინგლისის ახალგაზრდულთან თამაშის შემდეგ კი მისით „ასტონ ვილაც“ დაინტერესდა. თუმცა, ალეკოს ჯერ არ გადაუწყვეტია, სად გააგრძელოს კარიერა.

— ჯერ მხოლოდ საუბრები მესმის. ჩემთან არავინ მოსულა და სერიოზულად დამლაპარაკებია. „ასტონ ვილას“ მიწვევა კი, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, მართლაც იყო, რადგან ისეთმა ადამიანმა მითხრა, ვინც ჰაერზე არ ლაპარაკობს. ეს კაცი „მერანის“ პრეზიდენტი ნუგზარ ნავაძეა. იგი ინგლისში იყო და, ეტყობა, იქ ესაუბრა ჩემს თაობაზე.



ალექსანდრე გოგობერიშვილი

**— ტოტოზე „მერანს“ დაეხმარები?**

— თუ ხელი არაფერმა შემიშალა, ინტერტოტოზე თამაში ძალიან მინდა. გამოცდილების შეძენის მშვენიერი შანსია, თანაც, იქნებ ამ თამაშებში კიდევ ვინმე დაინტერესდეს ჩემით. მოკლედ, ინტერტოტოზე თამაშით არ წავაგებ.

**— დღეს ყველას, სახელიანს თუ უსახელოს, საქართველოს ჩემპიონატი ეცოტავება. შენც ასე თვლი?**

— რომელ ცოტაობაზეა ლაპარაკი, მე ახლა ვიწყებ თამაშს და ყველაფერი წინ მაქვს, ან სულაც ჯერ რას ვთამაშობ. ეროვნული ნაკრების წევრებს კი ნაღდად შეუძლიათ იმის თქმა, საქართველოში ველარ გავჩერდებითო.

**— გუცაევი უკვე სტაბილურად გიწვევს და ახალგაზრდულ ნაკრებს კარგად იცნობ. შენი აზრით, ინგლისთან ფრე შემთხვევითი იყო თუ ნაკრების ფეხზე დადგომის ნიშანია?**

— არავითარი შემთხვევითობა ინგლისში არ მომხდარა. გუცაევმა ბრძოლისუნარიანი ნაკრები ჩამოაყალიბა და, იგრძნობა, რომ უკეთესი შედეგის მიღწევა შეგვიძლია და მივაღწევთ კიდეც.

**— კონკრეტულად რას გულისხმობ?**

— დარჩენილ შეხვედრებში მოგებას. მათ შორის იტალიასთანაც. ჩვენ შინ არაფრის დამთმობები არ ვართ. ჩვენი თავის იმედი გვაქვს, მეტი არავისი.

...ტრავმის მორჩენის შემდეგ დათო გვარამაძემ ნაკრებში ადგილი დაიბრუნა — იგი ხომ ჯერ კიდევ ჭეიშვილის მწვრთნელობისას თამაშობდა ახალგაზრდულში. თუმცა, თავის კლუბში ჯერ სათადარიგოთა სკამზეა, რაც, ბუნებრივია, თამაშისას ეტყობა.

— კარგად კი ვიცი, რომ სკამზე ჯდომით ვერ გავიზრდები, მაგრამ ტოგონიძემ ისე სტაბილურად ჩაატარა სეზონი, მისი დასვენება არ იქნებოდა.

**— ტოგონიძის წასვლის შემთხვევაში „ბათუმში“ დარჩები?**

— ტოგონიძის წასვლა საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. შესაძლოა, მეც წავიდე.

**— სად აპირებ წასვლას?**

— რამდენიმე ვარიანტი კი მაქვს, მაგრამ არ არის გამორიცხული, მაინც ბათუმში დარჩენა ვამჯობინო. „ასტონ ვილას“ ვარიანტი ერთი წლით გადაიდო თუ, რა თქმა უნდა, კვლავ შეინარჩუნეს ჩემს მიმართ ინტერესი, რადგან ნაკრებში საჭირო რაოდენობის მატჩები არ მითამაშია. ყველაფერი მოლდოვა-პოლონეთთან შეხვედრების შემდეგ გაირკვევა.

**— ბათუმში რა ვარიანტში დარჩები?**

— თუ მეცოდინება, რომ ძირითადში ვითამაშებ. სხვაგვარად ბევრს დავკარგავ, ისევე, როგორც წელს. თუმცა, ნაღდად ვერ ვიტყვი, რომ უთამაშებლობის გამო შიში გამიჩნდა, ანაც თავდაჯერება დავკარგე, ინგლისელებთან შეხვედრისას დარწმუნებული ვიყავი, რომ ურიგოდ არ ვითამაშებდი. ტრაბახში არ ჩამომართვათ და, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად თავს კარგად ვგრძნობდი, ნაკრებში თამაშისთვის ხომ საგანგებოდ ვემზადებოდი. ახლაც ასეა.

...მიხეილ საჯაია კიდევ ერთი წლით შერჩა გერმანიის რეგიონალლიგას. არადა, ნაახალწლევზე ლაპარაკი იყო მის შვეიცარიის „იანგ ბოიზში“ გადასვლაზე. კითხვაზე, რატომ ვერ შედგა ეს ტრანსფერი, მიშამ ასე გვიპასუხა:

— ჩემზე უკეთ ამ საქმისა „მრეტების“ პრეზიდენტმა ვაჟა ჩხაიძემ იცის. ფაქტი კია, რომ „იანგ ბოიზის“ ვარიანტი ჩაიშალა. რა მოხდა, ვერ გეტყვით. ამას გარდა, შვეიცარიის მეორე ლიგის „ბადენში“ გადასვლის შანსიც მქონდა, მაგრამ ამაზე თავად ვთქვი უარი და „აუგსბურგთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე.

**— კიდევ ერთი წელი შენს დაოსტატებას ხელს ხომ არ შეუშლის?**

— სამი წელი რეგიონალური ლიგისთვის მაქსიმუმია, მე კი ორი წელია „აუგსბურგში“ ვთამაშობ და გაისად წასვლაზეც ვფიქრებ. რეგიონალლიგაში დარჩენა მერე მართლაც აღარ გამომადგება.

**— იაგორაშვილის საქმე როგორღაა?**

— ფეხი სტკიოდა და გამაყუჩებლებით ათამაშებდნენ, მერე კი ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მოუვიდა და გუნდს დატოვებს. ის ან შვეიცარიის მეორე ლიგის „ბადენში“ გადავა, ანაც — ბერლინის „ტენის-ბორუსიაში“.

**— ნაკრებზეც ვთქვათ. გაჩნდა თეორიული შანსი, რომ ჯგუფში მნიშვნელოვნად დავწინაურდეთ. გჯერა ამისა?**

— ფეხბურთი გამოუცნობია, ჩემი აზრით, შესაძლოა, რამდენიმე ძლიერი ნაკრები დავამარცხოთ, მაგრამ გრანდებთან ბრძოლისთვის ჯერ მზად არ ვართ.

კახა ალადაშვილი ნაკრების დებიუტანტია. იგი საბერძნეთში, I ლიგის „დოქსა დრამაში“ თამაშობს და იქაური ამბები გამოვკითხეთ:

— გუნდთან ექვსთვიანი კონტრაქტი დამიმთავრდა. მეორე წრეში 15 შეხვედრა ჩავატარე და ოთხი გოლი გავიტანე. ნახევარდაცვის სხვადასხვა პოზიციაზე მათამაშებდნენ, ფლანგებზეც და ცენტრშიც, უფრო ხშირად გამთამაშებლად.

**— კონტრაქტის გაგრძელება თუ შემოგთავაზეს?**

— ასეთი სურვილი კი ჰქონდათ, მაგრამ ჩემი მენეჯერები უმაღლესი ლიგის ორ გუნდთან აწარმოებენ მოლაპარაკებას და შესაძლოა ახალ სეზონში უფრო მაღალ ლიგაში ვითამაშო. ერთი მათგანი უმაღლეს ლიგაში წელს გადავიდა, მეორე კი, არ ვიცი, რომელია. მენეჯერები ახლა ფინანსურ საკითხებს აგვარებენ, ასე რომ, წელსაც საბერძნეთში დავრჩები. წამოსვლას რა აზრი აქვს, ჩვენი პირობები და დონე საბერძნეთისას მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება.

**— რომელს, პირველ ლიგასაც?**

— არა, საბერძნეთის პირველ ლიგაში მაღალი დონეაო, ნამდვილად ვერ ვიტყვი, ეს კია, საკმაოდ ძალისმიერად თამაშობენ.

**— ნაკრებში გამოძახებაზე რას იტყვი?**

— ბუნებრივია, გამიხარდა, თუმცა ამას ველოდი, რადგან აქამდეც მქონდა კავშირი ნაკრების ხელმძღვანელობასთან — ისინი ჩემს ამბებს ხშირად კითხულობდნენ.

...დასტოვებს თუ არა მიხეილ აშვეთია „ტორპედოს“? ეს კითხვა, მესამე წელია, სატრანსფერო პერიოდის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ლაპარაკობენ იმაზე, რომ ქუთაისელი თავდამსხმელის გადაყვანა „დინამოს“ სურს. თავად აშვეთიას ჯერ არაფერი გადაუწყვეტია:

— წავალ იქ, სადაც ძირითადში ვითამაშებ. სხვაგვარად წასვლას რა აზრი აქვს. ისე, გული უცხოეთისკენ მიმიწევს, კიდევ ერთი წლით საქართველოს ჩემპიონატში თამაში ნაკლებად მიზიდავს.

**— არც „დინამოში“ თამაში გიზიდავს?**

— ჩემპიონთა ლიგაში თამაში, ცხადია, ძალიან მინდა, ისე კი, „დინამო“ ჩვენს ჩემპიონატში, ხომ ხედავთ, ყველას უპრობლემოდ უგებს, წინააღმდეგობას, ფაქტობრივად, არ აწყდება და ასეთ პირობებში როგორ გავიზრდები?

**— სად გიწვევენ?**

— რუსეთსა და ბელგიაში. ყველაფერი ნაკრების თამაშის შემდეგ გაირკვევა.

...აშვეთიას თანაგუნდელ ლევან ქებაძესაც უცხოეთისკენ უჭირავს თვალი.

— მენეჯერი მპირდება, მეორე ბუნდესლიგის გუნდს მოგიძებნიო. სხვას ჯერ ვერაფერს ვიტყვი. ერთი კია, ძალიან მინდა ნორმალურ გუნდში გადავიდე. აქ თამაშის პერსპექტივას ვერ ვხედავ.

**მერაბ მამულაშვილი**

## მეორე ჯგუფი

**აღმოსავლეთი, XXXX ტური**

ლოკომოტივი-სამგორი 7:0, ჭაბუკიანი-ასკ 4:4, შირაქი-აკადემია 3:2, ყინერი-არმაზი 2:4, მესხეთი-იბერია 1:2, თორი-თსუ 2 2:0, 35 სტუ-ცხინვალი 3:7, მორკინალი-მრეტები 8:0, დინამ 2-კოდაკო 1:1, ავაზა-დურუჯი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მორკინალი | 38 | 32 | 5 | 1 | 101:12 | 101 |
| ლოკომოტივი | 38 | 30 | 7 | 1 | 88:11 | 97 |
| ცხინვალი | 38 | 25 | 3 | 10 | 84:42 | 78 |
| ასკ | 38 | 22 | 5 | 11 | 80:55 | 71 |
| დინამო 2 | 38 | 20 | 10 | 8 | 95:33 | 70 |
| აკადემია | 38 | 20 | 8 | 10 | 87:38 | 68 |
| თორი | 38 | 21 | 4 | 13 | 51:52 | 67 |
| კოდაკო | 38 | 19 | 8 | 10 | 66:48 | 66 |
| იბერია | 38 | 21 | 3 | 14 | 65:47 | 66 |
| შირაქი | 38 | 17 | 14 | 7 | 58:45 | 65 |
| არმაზი | 38 | 21 | 2 | 15 | 83:62 | 65 |
| თსუ 2 | 38 | 13 | 2 | 23 | 50:75 | 41 |
| მესხეთი | 38 | 10 | 3 | 25 | 51:84 | 33 |
| 35 სტუ | 38 | 8 | 8 | 22 | 56:90 | 32 |
| დურუჯი | 38 | 8 | 7 | 23 | 29:85 | 31 |
| მრეტები | 38 | 7 | 8 | 23 | 37:73 | 29 |
| ყინერი | 38 | 9 | 5 | 24 | 50:120 | 27 |
| ჭაბუკიანი | 38 | 6 | 9 | 23 | 37:74 | 27 |
| სამგორი | 38 | 8 | 4 | 26 | 45:99 | 23 |
| ავაზა | 38 | 2 | 6 | 30 | 29:97 | 12 |

**დასავლეთი, XXXIV ტური**

მეშახტე-სამეგრელო 0:2, ეგრისი-სალხინო 2:4, ოლიმპია-ოდიში 2 4:0, იმერეთი-კოლხეთი 2 2:1, მამისონი-საპოვნელა 0:3, მალაროელი-ტორპედო 2 3:0, კახაბერი-ბათუმი 2 1:1, მერცხალი-სქური 0:3

„მერცხალმა“ „სქურთან“ მატჩი კაცნაკლულმა დაიწყო. მიუხედავად ამისა, მასპინძლები თამაშის ბოლომდე 2:1 იგებდნენ. თამაშის დამთავრებას წუთებიღა აკლდა, როცა ერთ-ერთმა ოზურგეთელმა ტრავმა მიიღო და თამაში ველარ გააგრძელა. ამის შემხედვარე რამდენიმე მასპინძელმა თვითნებურად დატოვა მინდორი. ექვსმა მერცხლმა მატჩიც ჩაამთავრა და სასურველი ანგარიშიც შეინარჩუნა, მაგრამ ვინაიდან ექვსი ფეხბურთელით თამაში დებულებას ეწინააღმდეგება, მათ ფედერაციამ წაგება ჩაუთვალა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი | 32 | 28 | 0 | 4 | 97:24 | 84 |
| მეშახტე | 32 | 24 | 1 | 7 | 72:27 | 73 |
| მერცხალი | 32 | 22 | 1 | 9 | 68:37 | 67 |
| სქური | 32 | 17 | 5 | 10 | 53:39 | 56 |
| საპოვნელა | 32 | 16 | 7 | 9 | 60:41 | 55 |
| ოლიმპია | 32 | 17 | 2 | 13 | 70:51 | 53 |
| კოლხეთი 2 | 32 | 17 | 5 | 10 | 53:26 | 51 |
| იმერეთი | 32 | 16 | 3 | 13 | 57:55 | 51 |
| სამეგრელო | 32 | 15 | 6 | 11 | 66:58 | 51 |
| სალხინო | 32 | 16 | 2 | 14 | 53:47 | 50 |
| ეგრისი | 32 | 14 | 6 | 12 | 48:41 | 43 |
| ბათუმი 2 | 32 | 10 | 6 | 16 | 37:48 | 36 |
| სულორი | 32 | 10 | 5 | 17 | 39:52 | 35 |
| ოდიში 2 | 32 | 6 | 3 | 23 | 26:50 | 21 |
| ტორპედო 2 | 32 | 5 | 3 | 24 | 22:78 | 18 |
| კახაბერი | 32 | 4 | 4 | 24 | 30:111 | 16 |
| მამისონი | 32 | 4 | 3 | 25 | 34:100 | 15 |

### გორდა 5:2 ოდიში

რუსთავი. სტადიონი „ფოლადი“

**გორდა:** მ. ქორიძე, ფაცურია, ბექაური (არსოშვილი 46), პატარიძე, სახვაძე, ბერიძე, მელაძე, კედელაშვილი, კალუგა (ალადაშვილი 75), თ. მეტრეველი, კაციტაძე (გაბელაია 79)

**ოდიში:** გაბელია (კალანდია 71), ვახანია, გუჩუა (გუგუჩია 46), ჭურღულია, მიქაძე, კუტალია, ჯოჯუა, დიდიძე, ნიტაიშვილი, გაბედავა, კალანდაძე

1:0 კალუგა (6), 2:0 მელაძე (58), 3:0 პატარიძე (70), 4:0 ალადაშვილი (76), 4:1, 4:2 გაბედავა (83, 85), 5:2 მელაძე (88)

**მსაჯი:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

### სამგურალი 2:1 დილა

წყალტუბო. სტადიონი „26 მაისი“

**სამგურალი:** თევზაძე, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, ა. მანაგაძე, გოგელიძე (კოლუაშვილი 46), ძაგნიძე, გელაშვილი (ფესტვენიძე 46), ზ. ფხაკაძე, გოჩა კვარაცხელია, ხურცილავა, ჯანაშია (თევდორაძე 46)

**დილა:** ხ. გაგნიძე, ფეზუაშვილი (თაყაძე 46), ტაბატაძე, ჯ. გაგნიძე, აკოფიანი, თარხნიშვილი, მარეხაშვილი, ფხალაძე, რევაზიშვილი, კაიდარაშვილი, ჯალაბაძე

1:0 ფხაკაძე (6), 1:1 მარეხაშვილი (19), 2:1 ხურცილავა (49)

**მსაჯი:** ა. ორდენიძე (ონი)

### კოლხეთი 7:0 გურია

ფოთი. სტადიონი „ფაზისი“

**კოლხეთი:** მ. გვასალია (ჩემია 62), მიქაბერიძე (ბაჩილავა 46), კაკაჩია, გიორგაძე, გოროზია, ინიაშვილი, ფანჩულიძე, დ. მახარაძე (მაკალათია 46), ე. გვასალია, დარასელია, მ. ქობულაძე

**გურია:** ბაბაშვილი, ლურჯკაია, თოლორდავა (ყოლბაია 46), ყანჩაშვილი, პატარაია (თ. გოგიჩაიშვილი 22), ლაშა ყოლბაია (ბაბუნაშვილი 46), ცერცვაძე, განევი, ებრალიძე, გელაძე, კ. სიდამონიძე

1:0 დარასელია (2), 2:0 მიქაბერიძე (3), 3:0, 4:0 ფანჩულიძე (4, 30), 5:0 გიორგაძე (59), 6:0 დარასელია (60), 7:0 მაკალათია (73)

**გაფრთხილება:** ყანჩაშვილი

**მსაჯი:** მ. კობიაშვილი (დუშეთი)

### ბათუმი 4:0 ივერია

ბათუმი: სტადიონი „მენავთობე“

**ბათუმი:** გვარამაძე, ი. მახარაძე (ბახტაძე 46), მინდაძე, სიჭინავა, ქიქველიშვილი, მაქაცარია, მ. მახარაძე, ელონტი, ტულუში, უჯმაჯურიძე, შანიძე

**ივერია:** გოგალაძე, ნეკრაშვილი, მელაძე, გ. ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ხმალაძე, ჩადუნელი, მ. ლომიძე, ვეშაპიძე, თორია

1:0 ელონტი (34), 2:0, 3:0, 4:0 უჯმაჯურიძე (59, 80, 86)

**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

## შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

### პოლონეთი 0:2 ინგლისი

**პოლონეთი:** ვოზნიაკი, კალუჟნი, ზელინსკი, იოზვიაკი, ვალდოხი, მაიაკი, ბუკალსკი (სვირჩევსკი 46), ლედვონი, იუსკოვიაკი (ადამჩიკი 53), ნოვაკი (კუხარსკი 60), დემბინსკი

**ინგლისი:** სიმენი, გ. ნევილი, კემპბელი, საუთგეიტი, ლე სო, ინსი, ბექჰემი (ფ. ნევილი 89), გესქოინი (ბეტი 17), შირერი, შერინგემი, ლი

**გოლი:** 0:1 შირერი (5), 0:2 შერინგემი (90), 45-ე წუთზე შირერმა ვერ გაიტანა პენალტი

**გაფრთხილება:** ინსი, ბეტი, იოზვიაკი, მაიაკი, კალუჟნი

**მსაჯი:** ურს მაიერი (შვეიცარია)

# ის წვიმა სხვა იყო

**დავით ძაძამიძე**
**ხოჟუვიდან**

მატჩის წინ გვერდით მჯდომმა, სიცივისგან აბუზულმა პოლონელმა კოლეგამ ცას ახედა და ამოიოხრა: ეჰ, ღმერთიც ინგლისელების გულშემატკივარი ყოფილა — ამაზე უფრო „ინგლისურ“ ამინდს ჩვენი სტუმრები ვერც ინატრებდნენო.

ერთი მხრივ, მართლაც ასე იყო: ხოჟუვში თითქმის განუწყვეტლივ ცრიდა და ადგილობრივი, სანახევროდ რეკონსტრუირებული სტადიონის ბალახის საფარი გვარიანად გაჟღენთილიყო. მაგრამ ჩემი მეზობელი დავამშვიდე: თუ კარგად ითამაშეთ, ინგლისელებს თავსხმაც ვერ უშველით, როგორც 1973 წლის 17 ოქტომბერს ვერ უშველათ-მეთქი. იმ მატჩის გახსენებაზე პოლონელ კოლეგას სახე გაებადრა. მაშინ „უემბლიზე“, კოკისპირულ წვიმაში, მისმა თანამემამულეებმა ფრედ (1:1) ითამაშეს მასპინძლებთან და ცხვირწინ ააცალეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზური.

მაგრამ მაშინდელი პოლონეთი სულ სხვა იყო! დეინას, ლატოს, გორგონის, გადოხას, ტომაშევსკის დარი ფეხბურთელები პოლონეთის დღევანდელ ნაკრებში სანთლითაც რომ ეძებო, ვერ იპოვი. თანაც, მისი ერთ-ერთი ლიდერი და სამომავლო იმედი, 23 წლის ციტკო ტრავმის გამო საერთოდ ვერ გამოვიდა მინდორზე.

მატჩის ბედი პრაქტიკულად შეხვედრის დებიუტშივე გადაწყდა, როცა შირერმა ოსტატურად გამოიყენა ინსის ზუსტი პასი და ბურთი ვოზნიაკის კარის შორეულ, დაბალ კუთხეში გაგზავნა.

გაშვებული გოლის შემდეგ მანამდე საკმაოდ აგრესიულად განწყობილ მასპინძლებს არა მხოლოდ თავგზა აებნათ, არამედ, გვეგონებოდათ, თამაშის ხალისიც დაეკარგათო. საკმარისია ითქვას, რომ კარის მიმართულებით მათ პირველად მხოლოდ 30-ე წუთზე დაარტყეს.

შირერის გოლიდან ათ წუთში გესქოინს თამაშის ნაადრევად მიტოვება მოუხდა — მას ბუკალსკი ეუხეშა. ტრავმა იმდენად სერიოზული გამოდგა, რომ ჰოდლმა მატჩის მერე თქვა, პოლმა შესაძლოა საფრანგეთის ტურნირზეც ვერ ითამაშოს, ყოველ შემთხვევაში, ექიმების პირველადი დასკვნა ასეთიაო.

მატჩის ერთადერთი მონაკვეთი, როცა პოლონელებმა თამაში გამოაცოცხლეს და მეტოქეს გააზრებულად შეუტიეს, პირველი ტაიმის ბოლო 5 წუთი გახლდათ (აღსანიშნავია დემბინსკის დარტყმა, რომელსაც საუთგეიტი გადაეღობა) და მაშინაც მათ არათუ წონასწორობის აღდგენა ვერ მოახერხეს, კინაღამ მეორე გოლი გაუშვეს: სტუმართა კონტრშეტევა ლედვონმა საჯარიმოში შირერის წაქცევით ჩაშალა, მაგრამ თავად დაზარალებულის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი ძელმა მოიგერია. ეს პირველი პენალტი იყო, რომელიც შირერმა ნაკრებში გამოსვლისას ვერ გამოიყენა.

შესვენების შემდეგ პოლონელთა გაუბედავ იერიშებს ჩანასახშივე ახშობდნენ სტუმართა ნახევარმცველები, ხოლო თუ დემბინსკი ან იუსკოვიაკი მაინც მოახერხებდნენ საჯარიმოსთან მიახლოებას, [illegible] გარი ნევილი ან საუთგეიტი ხვდებოდნენ. ინგლისელთა მეორე გოლი თამაშის ლოგიკური გვირგვინი იყო: 90-ე წუთზე პოლონელთა შეტევა ჩაშალეს, სწრაფად წავიდნენ წინ, ლიმ დროულად მიაწოდა ბურთი კარის წინ მარტოდ დარჩენილ შერინგემს და მანაც არ დააყოვნა — 2:0.

„ჩვენთვის ეს მოგება უაღრესად მნიშვნელოვანი იყო — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ინგლისელთა მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა — ტაქტიკურად სწორად ვითამაშეთ, მინდორზე სათანადო განწყობით გავედით და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ. ბიჭებმა ბრწყინვალედ ითამაშეს. ინსს ნოვაკის მეურვეობა და შეძლებისდაგვარად წინ წასვლა ჰქონდა დავალებული. მან შეუდარებლად ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე გაფრთხილება მიიღო და სექტემბერში „უემბლიზე“ მოლდოველებთან ვერ ითამაშებს, მისით ძლიერ კმაყოფილი ვარ. ჩვენი მიზანი თავიდანვე იყო და ახლაც რჩება ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა. მიხარია, რომ სამივე საგარეო მატჩი — მოლდოვასთან, საქართველოსთან და დღეს პოლონეთთან — დამაჯერებლად მოვიგეთ. იმედია, საგარეო გამარჯვებათა სერიას არც რომში დავასრულებთ იტალიელებთან. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მალდინის გუნდმა ქართველებთანაც უნდა ითამაშოს.“

პოლონელთა მწვრთნელი ანტონი პეხნიჩეკი გაწბილებას არ მალავდა: „მეხუთე წუთზე გაშვებულმა გოლმა კალაპოტიდან ამოგვაგდო. მეტად გულდაწყვეტილი ვარ. მხოლოდ ის მამშვიდებს, რომ ინგლისის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია და, შესაძლოა, ჯგუფში პირველი ადგილიც დაიკავოს. ყოველ შემთხვევაში, ეჭვი არ მეპარება, რომ ინგლისელები საფრანგეთის საგზურს მოიპოვებენ.“

კომენტარი ეთხოვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს, რომელიც ხოჟუვის მატჩს დაესწრო:

— ინგლისელთა უპირატესობა აშკარა იყო. მას შემდეგ, რაც მატჩის დასაწყისში სწრაფი კონტრშეტევა გოლით დააგვირგვინეს, თამაშის სადავეები, ფაქტობრივად, ხელიდან აღარ გაუშვიათ. პოლონელებმა მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირეს. დაცვაში ხშირად სცოდავდა ლიბერო ზელინსკი, ხოლო თავდასხმაში თავი ვერ გამოიჩინა იუსკოვიაკმა. მინდვრის შუაგულში ნოვაკი, მართალია, სულ იმის ცდაში იყო, როგორმე თამაში აეწყო, მაგრამ პარტნიორებმა მხარი ვერ აუბეს. მიუხედავად იმისა, რომ პოლონელები ხუთი აშკარად გამოკვეთილი ნახევარმცველით გამოვიდნენ მინდორზე, ინგლისელებმა ისინი ყველა კომპონენტში დაჯაბნეს.

**— პოლონეთ — საქართველოს მომავალ შეხვედრაში როგორ აფასებთ მეტოქეთა შანსებს?**

— პოლონეთი შინ კი გვეთამაშება, მაგრამ შანსები, ვფიქრობ, თანაბარია. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, ვინ როგორი განწყობით გავა მინდორზე და ვინ უკეთ შეძლებს საკუთარი ოსტატობის გამოვლენას. ინგლისელებს დღეს პოლონელებზე ნაკლები თუ არა, მეტი ნამდვილად არ ურბენიათ. მათ ოსტატობის წყალობით გაიმარჯვეს.

**II ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 11:1 | 16 |
| ინგლისი | 6 | 5 | 0 | 1 | 11:2 | 15 |
| პოლონეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |
| საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |
| მოლდოვა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:11 | 0 |




მარეკ იოზვიაკი ყირაზე გადავიდა, მაგრამ შირერს ვერა დააკლო




კვირას „ბაიერნმა" მოპოვებული ჯილდო მიუნხენის ცენტრალურ მოედანზე შეკრებილ ათიათასობით გულშემატკივარს წარუდგინა. განსაკუთრებული ოვაციები კლინსმანსა და ტრაპატონის ერგოთ

## გერმანია

### ბოლო ტური

**ლევერკუზენი 2:0 ბოხუმი**
1:0 სერჟიო (9), 2:0 რამელოვი (51)

**ფორტუნა 1:1 ჰამბურგი**
0:1 იენიგი (2), 1:1 დობროვოლსკი (22)

**მიუნხენ 1860 0:3 ვერდერი**
0:1 ჰერცოგი (43), 0:2, 0:3 ბობში (72, 75)

**ფრაიბურგი 1:1 კარლსრუე**
0:1 ტარნატი (15), 1:1 იურჩევიჩი (36)

**ჰანზა 0:1 შალკე 04**
0:1 ლატალი (89)

**შტუტგარტი 4:2 არმინია**
1:0, 3:2, 4:2 ჰაგნერი (22, 68, 86), 2:0 ვერლაატი (24), 2:1 კუნცი (33), 2:2 მოლო (49)

**გლადბახი 2:2 ბაიერნი**
0:1 კლინსმანი (42), 1:1 პასლაკი (45), 2:1 პფლიპსენი (47), 2:2 ნერლინგერი (87)

**ზანქტ პაული 0:2 დუისბურგი**
0:1 მარინი (33), 0:2 პუშმანი (77)

**დორტმუნდი 2:1 კიოლნი**
1:0 შაპუიზა (33), 2:0 ბუტი (74), 2:1 კონი (87)

გასრულდა გერმანიის მორიგი ჩემპიონატი და მიუნხენის „ბაიერნმაც" ქვეყნის ჩემპიონობა მეცამეტად გაიფორმა. გამარჯვებულთა მწვრთნელმა, იტალიაში ყველაფრის მომგებმა ჯოვანი ტრაპატონიმ გერმანიაში „მეორედ მოსვლა" პირველისგან განსხვავებით ჩემპიონის ტიტულით აღნიშნა. აპენინელმა ბოლო მატჩის შემდეგ თქვა: „მინდოდა, საკუთარი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ იტალიის გარდა სხვაგანაც შემეძლო წარმატების მიღწევა. „ბაიერნში" პირველად არ გამიმართლა, მაგრამ დავბრუნდი და ვიმარჯვეთ კიდეც. მიუნხენში ეს წელი ჩემთვის მეტად ნაყოფიერი იყო. უფრო ღრმად ვეზიარე სამწვრთნელო სიბრძნეს. ძალიან მახარებს „ბაიერნის" გამარჯვება. ვფიქრობ, ამ გუნდით ჩემპიონთა ლიგაშიც მივაღწევთ წარმატებას. ვიბრძოლებთ კიდეც ამისთვის". მიუნხენელებმა საყვარელი გუნდის ჩემპიონობა დიდი ზარზეიმით აღნიშნეს. ქალაქის ცენტრალურ მოედან მარიენპლაცზე 60 ათასამდე ფანი შეხვდა ჩემპიონებს, რომლებმაც გერმანულ ფეხბურთში დორტმუნდელთა ორწლიანი ბატონობა ალკვეთეს. „სამპდორიაში" მიმავალმა იურგენ კლინსმანმა მიუნხენელთა გუნდში ბოლო მატჩი გოლით აღნიშნა და თან განაცხადა, მართალია, ჯოვანი ბევრჯერ გავკენწლე პრესაში, მაგრამ მაინც დიდი მწვრთნელია და პატივს ვცემო. მერე დასძინა, ბოლო წლებში ევროპის ჩემპიონობის შემდეგ ყველაზე მეტად ბუნდესლიგის მოგება გამიხარდაო.

„ბაიერნის" მერე ფინიშთან ლევერკუზენელები მიიჭრნენ. შარშან კლუბი ბეწვზე გადარჩა ერთი ლიგით ჩაქვეითებას, ახლა კი ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. „მეორე ადგილი ფანტასტიკური შედეგია. სეზონის დასაწყისში ხუთეულში მოხვედრაზე ვოცნებობდი, მაგრამ რაც შევძელით, თვალნათლივ გამოჩნდა. მიხარია, რომ ახლა ევროპულ ელიტაში ვიქნებით. ეს დიდი სტიმულია ჩვენთვის" — თქვა ლევერკუზენელთა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა და საუბრის ბოლოს ულფ კირსტენს დიდი სიხარულით მიულოცა ბომბარდირობა. კირსტენი მეორედ გახდა ლიგის ბომბარდირი — 1993 წელს მან აინტრახტელ იებოასთან ერთად იმარჯვა.

ჩემპიონთა ლიგაში დორტმუნდელთა გარდა „ბაიერნი" და „ლევერკუზენი" ითამაშებენ. უეფას თასისთვის წლევანდელი გამარჯვებული „შალკე-04", „ბოხუმი" და „კარლსრუე" იბრძოლებენ, ხოლო თუ „შტუტგარტმა" თასი მოიგო, მაშინ უეფაზე „მიუნხენ 1860"-იც მოხვდება. „შტუტგარტის" დამარცხების შემთხვევაში იგი გავა უეფას თასზე, ხოლო თასების თასზე — კოტბუსის „ენერგი". ინტერტოტოზე „ვერდერი", „დუისბურგი" და „კიოლნი" ითამაშებენ, მაგრამ იმავე „შტუტგარტის" თასზე გამარჯვების შემთხვევაში, მათ მიონხენგლადბახის „ბორუსიაც" დაემატება. ასე რომ, ორ კვირაში გერმანიის თასის ფინალში „შტუტგარტის" გულშემატკივრები „მიუნხენ 1860" და „მიონხენგლადბახიც" იქნებიან.

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 34 | 20 | 11 | 3 | 68:34 | 71 |
| ლევერკუზენი | 34 | 21 | 6 | 7 | 69:41 | 69 |
| დორტმუნდი | 34 | 19 | 6 | 9 | 63:41 | 63 |
| შტუტგარტი | 34 | 18 | 7 | 9 | 78:40 | 61 |
| ბოხუმი | 34 | 14 | 11 | 9 | 54:51 | 53 |
| კარლსრუე | 34 | 13 | 10 | 11 | 55:44 | 49 |
| მიუნხენ 1860 | 34 | 13 | 10 | 11 | 56:56 | 49 |
| ვერდერი | 34 | 14 | 6 | 14 | 53:52 | 48 |
| დუისბურგი | 34 | 12 | 9 | 13 | 44:49 | 45 |
| კიოლნი | 34 | 13 | 5 | 16 | 62:62 | 44 |
| გლადბახი | 34 | 12 | 7 | 15 | 46:48 | 43 |
| შალკე 04 | 34 | 11 | 10 | 13 | 35:40 | 43 |
| ჰამბურგი | 34 | 10 | 11 | 13 | 46:60 | 41 |
| არმინია | 34 | 11 | 7 | 16 | 46:54 | 40 |
| ჰანზა | 34 | 11 | 7 | 16 | 35:46 | 40 |
| ფორტუნა | 34 | 9 | 6 | 19 | 26:57 | 33 |
| ფრაიბურგი | 34 | 8 | 5 | 21 | 43:67 | 29 |
| ზანქტ პაული | 34 | 7 | 6 | 21 | 30:63 | 27 |

ბუნდესლიგა დატოვეს ზანქტ პაულმა, ფრაიბურგმა და ფორტუნამ.

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 22 |
| პოლსტერი (კიოლნი) | 21 |
| ბობიჩი (შტუტგარტი) | 19 |
| დანდი (კარლსრუე) | 17 |
| ვინკლერი (მიუნხენ 1860) | 17 |
| ელბერი (შტუტგარტი) | 17 |
| პაულუ სერჟიო (ლევერკუზ.) | 17 |

**მეორე ბუნდესლიგა**

33-ე ტური. ურდინგენი — ვოლფსბურგი 0:3, ცვიკაუ — ლიუბეკი 2:0, მანჰაიმი — ოლდენბურგი 2:0, აინტრახტი — კაიზერსლაუტერნი 0:0, მეპენი — როტ ვაისი 1:1, უნტერჰახინგი — გიუტერსლო 3:1, კიკერსი — ლაიფციგი 3:1, კარლ ცაისი — ჰერტა 2:1, მაინცი — ფორტუნა 2:0

## ჰოლანდია

34-ე ტური: როდა — პსვ 3:1, ტილბურგი — ვოლენდამი 0:0, ჰერენვენი — გრონინგენი 1:3, აზ — ტვენტე 1:2, ბრედა — სიტარდი 1:1, აიაქსი — ვიტესი 4:0, სპარტა — ვალვაიკი 1:3, უტრეხტი — ფეიენოორდი 2:1, ნაიმეგენი — გრააფსხაპი 2:1

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 34 | 24 | 5 | 5 | 90:26 | 77 |
| ფეიენოორდი | 34 | 22 | 7 | 5 | 67:34 | 73 |
| ტვენტე | 34 | 20 | 5 | 9 | 60:33 | 65 |
| აიაქსი | 34 | 17 | 10 | 7 | 55:31 | 61 |
| ვიტესი | 34 | 15 | 10 | 9 | 53:41 | 55 |
| როდა | 34 | 16 | 7 | 11 | 56:47 | 55 |
| ჰერენვენი | 34 | 13 | 11 | 10 | 58:47 | 50 |
| გრააფსხაპი | 34 | 13 | 6 | 15 | 52:55 | 45 |
| ბრედა | 34 | 10 | 10 | 14 | 41:54 | 40 |
| გრონინგენი | 34 | 9 | 12 | 13 | 43:56 | 39 |
| სიტარდი | 34 | 9 | 12 | 13 | 36:52 | 39 |
| უტრეხტი | 34 | 8 | 14 | 12 | 42:52 | 38 |
| სპარტა | 34 | 11 | 5 | 18 | 40:56 | 38 |
| ვოლენდამი | 34 | 9 | 11 | 14 | 36:55 | 38 |
| ტილბურგი | 34 | 9 | 8 | 17 | 34:51 | 35 |
| ვალვაიკი | 34 | 9 | 7 | 18 | 39:61 | 34 |
| ნაიმეგენი | 34 | 7 | 11 | 16 | 35:61 | 32 |
| აზ 67 | 34 | 6 | 7 | 21 | 27:52 | 25 |

## ბულგარეთი

30-ე ტური: ნეფტოხიმიკი — სლავია 1:1, რაკოვსკი — დობრუჯა 1:7, ეტური — ლევსკი (კუსტენდილი) 2:2, სპარტაკი (ვარნა) — მარიცა 2:0, მონტანა — ცსკა 3:1, ლევსკი (სოფია) — ბოტევი 0:1, ლოკომოტივი (სოფია) — სპარტაკი (პლევენი) 1:2, ლოკომოტივი (პლოვდივი) — მინიორი 2:0

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 30 | 22 | 5 | 3 | 65:19 | 71 |
| ნეფტოხიმიკი | 30 | 20 | 7 | 3 | 70:20 | 67 |
| სლავია | 30 | 17 | 6 | 7 | 61:23 | 57 |
| ლევსკი სოფია | 30 | 14 | 11 | 5 | 58:30 | 53 |
| ბოტევი | 30 | 14 | 3 | 13 | 41:41 | 45 |
| მინიორი | 30 | 12 | 8 | 10 | 28:35 | 44 |
| ლოკ. სოფია | 30 | 13 | 4 | 13 | 59:47 | 43 |
| კუსტენდილი | 30 | 13 | 3 | 14 | 51:52 | 42 |
| სპარტ. ვარნა | 30 | 13 | 3 | 14 | 40:41 | 42 |
| პლოვდივი | 30 | 12 | 5 | 13 | 38:41 | 41 |
| დობრუჯა | 30 | 11 | 6 | 13 | 44:48 | 39 |
| პლევენი | 30 | 12 | 3 | 15 | 35:46 | 39 |
| ეტური | 30 | 10 | 5 | 15 | 37:53 | 35 |
| მარიცა | 30 | 8 | 8 | 14 | 38:45 | 32 |
| მონტანა | 30 | 8 | 4 | 18 | 32:54 | 28 |
| რაკოვსკი | 30 | 0 | 1 | 29 | 8:110 | 1 |

## პორტუგალია

33-ე ტური. სპორტინგი — ბელენენსეში 3:1, ამადორა — ბოავიშტა 2:5, სალგეირუში — ესპინიუ 5:0, ლეირია — რიუ ავე 1:0, სეტუბალი — მარიტიმუ 0:0, ჟილ ვისენტე — ლეცა 1:0, შავეში — ფარენსე 1:1, ბრაგა — პორტუ 2:1, ბენფიკა — გიმარაეში 0:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 33 | 26 | 4 | 3 | 77:24 | 82 |
| სპორტინგი | 33 | 22 | 6 | 5 | 54:17 | 72 |
| ბენფიკა | 33 | 17 | 7 | 9 | 49:29 | 58 |
| ბრაგა | 33 | 15 | 9 | 9 | 39:40 | 54 |
| გიმარაეში | 33 | 15 | 7 | 11 | 51:46 | 52 |
| სალგეირუში | 33 | 14 | 9 | 10 | 48:47 | 51 |
| ამადორა | 33 | 12 | 11 | 10 | 38:43 | 47 |
| ბოავიშტა | 33 | 11 | 13 | 9 | 60:38 | 46 |
| შავეში | 33 | 12 | 9 | 12 | 39:45 | 45 |
| მარიტიმუ | 33 | 12 | 8 | 13 | 37:38 | 44 |
| ფარენსე | 33 | 10 | 11 | 12 | 33:33 | 41 |
| სეტუბალი | 33 | 9 | 10 | 14 | 36:42 | 37 |
| ბელენენსეში | 33 | 9 | 10 | 14 | 36:50 | 37 |
| ლეცა | 33 | 9 | 9 | 15 | 33:40 | 36 |
| რიუ ავე | 33 | 8 | 10 | 15 | 35:42 | 34 |
| ესპინიუ | 33 | 8 | 6 | 19 | 25:55 | 30 |
| ლეირია | 33 | 8 | 6 | 19 | 25:51 | 30 |
| ჟილ ვისენტე | 33 | 4 | 7 | 22 | 29:71 | 19 |

## ესპანეთი

### XXXX ტური

**რეალი 5:0 ესტრემადურა**
1:0 რაული (9), 2:0, 3:0 ზეედორფი (46, 54), 4:0, 5:0 შუკერი (66 პ, 90)

**ერკულესი 2:1 ბარსელონა**
0:1 ლუის ენრიკე (3), 1:1 ესკუდერო (38), 2:1 პავლიჩიჩი (56)

**ოვიედო 1:0 სევილია**
1:0 მაკუედა (90)

**რასინგი 2:2 კომპოსტელა**
0:1 ოპენი (43 პ), 0:2 სუარესი (48), 1:2 ლოპესი (50), 2:2 სალასარი (57)

**დეპორტივო 0:2 ვალიადოლიდი**
0:1 ზარანდონა (3), 0:2 სოტო (52)

**სელტა 0:2 ბილბაო**
0:1 სიგანდა (66), 0:2 ეჩევერია (75)

**ესპანიოლი 5:1 ლოგრონიესი**
1:0 პარალო (18), 2:0 რადუჩოიუ (26), 3:0 ლარდინი (41), 3:1 მარტინესი (45), 4:1, 5:1 არტიეგა (55, 87)

**ბეტისი 0:1 სპორტინგი**
0:1 ჩერიშევი (56)

**რაიო 3:1 ვალენსია**
1:0, 2:0 კლიმოვიჩი (24, 41), 3:0 ლოპესი (61), 3:1 ფერეირა (89)

სარაგოსა — ატლეტიკო და სოსიედადი — ტენერიფე ნუხელ გაიმართა

პირველობის დამთავრებამდე სამი კვირით ადრე „ბარსელონამ" ლიდერთან რვაქულიანი დეფიციტი ორამდე შეამცირა, მაგრამ უსუსურ მეტოქესთან წაიფორხილა და დაემშვიდობა კიდეც ჩემპიონობას. კატალონიელები, ნორვეგიასთან მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებული რონალდოს გარეშე რომ თამაშობდნენ, თავიდან მაინც დაწინაურდნენ, თუმცა თასთა თასის მფლობელისთვის ერთობ უხერხულმა მეტოქემ მეორე ტაიმში იძალა და პირველ წრეში „კამპ ნოუზე" 3:2 გამარჯვების შემდეგ მეორედ დაამარცხა რობსონის ბიჭები. თავად ბობიმ მატჩის მერე თქვა, წელს ძალიან გადავიღალეთ, ბოლოს მეტად პრინციპული შეხვედრები მოვიგეთ და ეს მარცხი მოსალოდნელი იყოო: „სამ ფრონტზე ბრძოლა უდიდეს ენერგიას მოითხოვს. ვერცერთი გუნდი ვერ მოიგებს ყველა თამაშს. ეს შეუძლებელია".

ამასობაში, სანამ „ბარსელონა" აგებდა, „რეალმა" მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე" „ესტრემადურას" [illegible] და სასტიკად გაანადგურა [illegible] ჭებმა პირველ ნახევარში რაულის გოლი იკმარეს, მეორეში კი ძალზე მოინდომეს და კიდევ ოთხი გაიტანეს. ბოლო ორი ფორმააღდგენილმა შუკერმა შეაგდო. ამ გამარჯვებით „რეალმა" ფაქტიურად გაინაღდა ქვეყნის ჩემპიონის ოცდამეშვიდე ტიტული, რადგან დარჩენილ ორ ტურში ქულაც ჰყოფნის. მადრიდელთა პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა ჩემპიონის ტიტული რომ იყნოსა, თქვა, ეს მთელი ჩვენი ჯაფის დაფასებააო.

ამ ტურში გაცხადდა „სევილიას" გავარდნაც. ყველასგან დაჯაბნილმა „ოვიედომ" 92-ე წუთამდე იცადა და მერე მოერია სევილიელებს. „რეალის" ძლევის შემდეგ ლუის ფერნანდესის „ატლეტიკმა" კვლავ იმარჯვა და ევროტურნირებზე ადგილი დაიბევა. არადა, შარშან ბასკები ძლივს გადაურჩნენ ლიგიდან გავარდნას.

ასე რომ, ერთი ქულაც და „რეალი" ჩემპიონია, კაპელო კი პროფესიონალი მწვრთნელის ექვსწლიანი კარიერის მანძილზე მეხუთედ დაიდგამს ჩემპიონის გვირგვინს, ამჯერად უკვე ესპანეთში.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 40 | 26 | 11 | 3 | 82:31 | 89 |
| ბარსელონა | 40 | 26 | 6 | 8 | 97:47 | 84 |
| დეპორტივო | 40 | 20 | 14 | 6 | 56:29 | 74 |
| ბეტისი | 40 | 20 | 14 | 6 | 79:43 | 74 |
| ატლეტიკო | 39 | 19 | 11 | 9 | 72:56 | 68 |
| ბილბაო | 40 | 15 | 16 | 9 | 69:54 | 61 |
| ვალიადოლიდი | 40 | 17 | 10 | 13 | 56:44 | 61 |
| სოსიედადი | 39 | 15 | 9 | 15 | 43:45 | 54 |
| ვალენსია | 40 | 14 | 11 | 15 | 59:55 | 53 |
| ტენერიფე | 39 | 14 | 10 | 15 | 63:51 | 52 |
| კომპოსტელა | 40 | 12 | 14 | 14 | 48:62 | 50 |
| რასინგი | 40 | 11 | 16 | 13 | 50:49 | 49 |
| სარაგოსა | 39 | 12 | 13 | 14 | 52:57 | 49 |
| ესპანიოლი | 40 | 13 | 9 | 18 | 47:52 | 48 |
| ოვიედო | 40 | 12 | 11 | 17 | 48:63 | 47 |
| სელტა | 40 | 11 | 13 | 16 | 47:52 | 46 |
| სპორტინგი | 40 | 12 | 10 | 18 | 42:63 | 46 |
| რაიო | 40 | 13 | 6 | 21 | 42:57 | 45 |
| ესტრემადურა | 40 | 10 | 11 | 19 | 33:63 | 41 |
| ერკულესი | 40 | 11 | 5 | 24 | 37:74 | 38 |
| სევილია | 40 | 10 | 7 | 23 | 43:67 | 37 |
| ლოგრონიესი | 40 | 9 | 5 | 26 | 31:82 | 32 |




რეალი — ესტრემადურა. რაულისა და სტუმართა მეკარე ხუანმის ცეკვა


ტურისტული ფირმა GT
გიწვევთ სამოგზაუროდ პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებზე დასასწრებად
18 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით.
აგრეთვე გეპატიჟებით სამოგზაუროდ ეგვიპტეში, ინგლისში და ევროპის სხვა ქვეყნებში.
დაგეხმარებით ინგლისის და ევროვიზების მიღებაში
თბილისი, ჭავჭავაძის 49 ა (ღია საცურაო აუზთან)
ტ. 22-19-99 (დღისით), 96-27-20 (საღამოს)

## იტალია

### ბოლო ტური

**ბოლონია 2:2 ინტერი**
1:0 შალიმოვი (5), 1:1, 1:2 განცი (52, 65), 2:2 პარამატი (75)

**იუვენტუსი 2:2 ლაციო**
1:0 ვიერი (30), 2:0 ამორუზო (53), 2:1 კაზირაგი (73), 2:2 პროტი (84)

**მილანი 0:1 კალიარი**
0:1 მუცი (10)

**ნაპოლი 1:0 ვიჩენცა**
1:0 ბეტო (4)

**პიაჩენცა 2:1 პერუჯა**
1:0 ლუიზო (29), 2:0 ლუჩი (48 პ), 2:1 დიკარა (90)

**რეჯანა 0:3 ატალანტა**
0:1, 0:2 ინძაგი (11 პ, 88 პ), 0:3 ფორტუნატო (90)

**რომა 0:3 უდინეზე**
0:1 პოჯი (42), 0:2 ბირჰოფი (45), 0:3 ბია (87)

**სამპდორია 1:1 ფიორენტინა**
0:1 რობიატი (22), 1:1 მონტელა (36)

**ვერონა 1:2 პარმა**
1:0 მანიერო (6), 1:1 კიეზა (17), 1:2 კრესპო (64)

კვირა საღამოს ნათელი გახდა, რომ „პარმა", სერია A-ში 1990 წელს გადმოსული კლუბი, რომელიც აპენინების ჩემპიონი არასდროს ყოფილა, პირველად იასპარეზებს ჩემპიონთა ლიგაში. დასრულდა ჩემპიონატი და ასწლოვანი ტურინელი „ბებერი ქალბატონის" შემდეგ „პარმა", დეკემბერში მეთოთხმეტე რომ იყო, მეორეა. ამით მან ევროპის უძლიერეს გუნდთა შორის დაიბევა ადგილი. რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულის ქალაქ ვერონაში პარმელები მხოლოდ მოსაგებად ჩავიდნენ, რადგან ზურგს უკან მდევარ მილანის „ინტერს" გრძნობდნენ. სერია A-დან ჩემპიონატის დასასრულამდე რამდენიმე ტურით ადრე გავარდნილმა გუნდმა „ვერონამ" ბრწყინვალედ მოთამაშე სტუმრებს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და დამარცხდა, მიუხედავად იმისა, რომ მანიეროს გოლით იგებდა. „პარმას" ფორვარდთა შეუდარებელმა წყვილმა კიეზა კრესპომ მოსახდენი მოახდინა, რამაც თავკაც კარლო ანჩელოტის მატჩის მერე ათქმევინა, სეზონის დასაწყისში ვერც ვიფიქრებდი, თუ „პარმა" ამდენს მიაღწევდაო. ისე, „პარმამ" ვერონაში 1965 წლის შემდეგ პირველად იმარჯვა.

„იუვენტუსმა" წინა ტურში ბერგამოში მოპოვებული ჩემპიონობა შინ — „სტადიო დელე ალპიზე" იზეიმა. მიუხედავად ჩემპიონთა ლიგის ფინალში განცდილი მარცხისა, დიდებული „იუვეს" ფანებმა სტადიონი გადაჭრეს. ჩემპიონმაც ერთი საათის განმავლობაში მართლაც რომ ჩემპიონურად ითამაშა, მაგრამ მერე ლიდერები მოეშვნენ და დედაქალაქელებმაც შინ ქულა წაიღეს. „პარმას" მსგავსად, სეზონი „ლაციომაც" დანავსულმა დაიწყო, წამდაუწუმ სახიფათო ზონაში ტრიალებდა, თუმცა რომაელებმა ყველაფერი იღონეს და ჩემპიონატი მეოთხე ადგილზე დაასრულეს. სამომავლოდ „ლაციოს" გაძლიერება განუზრახავს, რაკი მაისისთვის „სამპდორიას" ვეტერანი, გენუელთა საყვარელი მოთამაშე რობერტო მანჩინი თავისკენ გადაიბირა. მას მოქმედ ფეხბურთელთა შორის სერია A-ში ყველაზე მეტი — 142 გოლი აქვს გატანილი. „სამპდორია" — „ფიორენტინას" მატჩის მერე გენუელთა რიგებში 15 წელიწადს ნათამაშევმა მანჩინიმ თქვა, „სამპდორიას" კი ვტოვებ, მაგრამ საუკეთესო მოგონებანი და უახლოეს მეგობართა სიყვარული თან მიმაქვსო. მანჩინის გარდა „ლაციომ" მოლაპარაკებები წამოიწყო თანაქალაქელი დაუძინებელი მტრის — „რომას" არგენტინელ აბელ ბალბოსთან. ისიც კარგა ხანია ცნობილია, რომ „ლაციოს" მომავალ სეზონში შვედი სვენ გორან ერიკსონი უთავკაცებს.

„რომა" ბოლო ტურში „ლიდერთა რისხვა" „უდინეზესთან" განადგურდა. ამ პროვინციულმა გუნდმა მეორე წრეში ლიდერთა ძლევით და მეხუთე ადგილით არსებობის მანძილზე პირველად გამოჰკრა ხელი უეფას თასის საგზურს. 1957 წლის შემდეგ იგი აღარ აღზევებულა ესოდენ მაღლა. რეჯანაში, „რეჯო ემილიაზე", სადაც ამ ჩემპიონატში ერთხელაც ვერ მოიგო „რეჯანამ", მასპინძლები კვლავ დამარცხდნენ. ბერგამოელმა ფილიპო ინძაგიმ, იმის შიშით, ბომბარდირობაში სამპდორიელი მონტელა არ შემეცილოსო, „რეჯანას" კარში დანიშნული ორივე პენალტი გოლად აქცია. ნეაპოლში „ნაპოლიმ" 1:0 მოუგო „ვიჩენცას", რითაც მათთან თასის ფინალში განადგურებისთვის ერთგვარად რევანში აიღო. შარშანდელი ჩემპიონი „მილანი" წელს უიმედოდ ჩავარდა. უკაპელოდ დარჩენილმა ვერც ტაბარესს და ვერც საკის ვერარა გაუგო და 1981-82 წლების მსგავსად ძალზედ ჩამოქვეითდა. იმ გუნდიდან, კვირას, ორმა მცველმა — ვეტერანმა ფრანკო ბარეზიმ და მაურო ტასოტიმ უკანასკნელად ითამაშეს შავწითლების შემადგენლობაში. ორივემ უამრავი ტიტული და ჯილდო მოიგო „მილანთან" ერთად და „სან-სიროზე" 80 ათასმა გულშემატკივარმა ისინი ტაშით გააცილა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს „მილანი" ჩემპიონატში მეცამეტედ დამარცხდა. ასეთი რამ „მილანს" არ დამართვნია სილვიო ბერლუსკონის პრეზიდენტობის დროს. მე-19 წუთზე მილანელები ათნი დარჩნენ — არბიტრმა სავიჩევიჩი გააგდო. როსიმ კი მანამდე გაუშვა კარში მუცის დარტყმული ბურთი. საერთო ჯამში როსის ურიგოდ არ უთამაშია, 42-ე წუთზე პენალტიც აიღო, თუმცა დარჩენილ დროში თავისიანებს კარის მშრალად შენახვის გარდა ვერაფრით დაეხმარა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე საკიმ მოკლედ ისაუბრა მატჩზე, შემდეგ კი სამომავლო გეგმებზე გადავიდა და დასძინა, თუ დავრჩი, ჩემპიონობის იმედი გქონდეთო. საკის მერე გამოსულმა მარსელ დესაიმ გაფანტა მისი მილანიდან წასვლის შესახებ ეჭვები და ისიც თქვა, 2000 წლის 30 ივნისამდე ვრჩებიო. „მილანის" წარმომადგენელმა კი დესაის თანამემამულე დუგარიზეც ილაპარაკა და თქვა, ხმები, თითქოს კრისტოფს „ბარსელონაში" გავუშვებთ, მტკნარი სიცრუეაო.

**ლაშა გოდუაძე**



კრესპომ და კიეზამ „პარმა" ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანეს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 34 | 17 | 14 | 3 | 51:24 | 65 |
| პარმა | 34 | 18 | 9 | 7 | 41:26 | 63 |
| ინტერი | 34 | 15 | 14 | 5 | 51:35 | 59 |
| ლაციო | 34 | 15 | 10 | 9 | 54:37 | 55 |
| უდინეზე | 34 | 15 | 9 | 10 | 53:41 | 54 |
| სამპდორია | 34 | 14 | 11 | 9 | 60:46 | 53 |
| ბოლონია | 34 | 13 | 10 | 11 | 50:44 | 49 |
| ვიჩენცა | 34 | 12 | 11 | 11 | 43:38 | 47 |
| ფიორენტინა | 34 | 10 | 15 | 9 | 76:41 | 45 |
| ატალანტა | 34 | 11 | 11 | 12 | 44:46 | 44 |
| მილანი | 34 | 11 | 10 | 13 | 43:45 | 43 |
| რომა | 34 | 10 | 11 | 13 | 46:47 | 41 |
| ნაპოლი | 34 | 9 | 14 | 11 | 38:45 | 41 |
| კალიარი | 34 | 9 | 10 | 15 | 45:55 | 37 |
| პიაჩენცა | 34 | 7 | 16 | 11 | 29:45 | 37 |
| პერუჯა | 34 | 10 | 7 | 16 | 48:62 | 37 |
| ვერონა | 34 | 6 | 9 | 19 | 38:64 | 27 |
| რეჯანა | 34 | 2 | 13 | 19 | 28:67 | 19 |

ლიგა დატოვეს რეჯანამ, ვერონამ და პერუჯამ, ხოლო პიაჩენცა და კალიარი 15 ივნისს ერთმანეთში გაარკვევენ სერია A-ში დამრჩენის ვინაობას.

**ბელგიის** თასის ფინალში პროვინციულმა „ეკერენმა" 4:2 მოუგო რვაგზის მფლობელ „ანდერლეხტს" და მესამე ცდით მოიპოვა პრიზი. თავიდან ბრიუსელელები 2:0 იგებდნენ, მაგრამ უსახელო მეტოქემ ჯერ გაყაიმება, დამატებით დროში კი მოგებაც შეძლო. „ანდერლეხტმა" თასის ფინალი ბოლოს 20 წლის წინ წააგო, „ეკერენმა" კი — 1990 და 1995 წლებში.

**ჩეხეთის ჩემპიონობა ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ მოიპოვა პრაღის „სპარტამ" — ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში 2:1 მოუგო ოლომოუცის „სიგმას" და თავის მდევარ პრაღის „სლავიას" ყოველგვარი იმედი წარკვეთა.**

**შოტლანდიის** ნაკრებმა ლა ვალეტაში ამხანაგურ შეხვედრაში 3:2 დაამარცხა მალტის ეროვნული გუნდი. სტუმართაგან გოლები კრისტიან დეილიმ და დარენ ჯექსონმა (ორჯერ) შეაგდეს.

**ლუქსემბურგის ჩემპიონმა „ჯენეს ეშმა" თასის ფინალში 2:0 დაამარცხა „უნიონი" და მეათედ მოიგო ქვეყნის თასი, დუბლი კი მეშვიდედ გააზერხა.**

**თურქეთის** „ფენერბაჰჩეს" გუშინდლიდან ახალი მწვრთნელი ჰყავს — იუგოსლაველი ტოდორ ვესელინოვიჩი ხორვატმა ოტო ბარიჩმა შეცვალა.

**ბრაზილიის ნაკრებმა შეწყვიტა 43 დაუმარცხებელი მატჩისგან შემდგარი სერია ოსლოში, ნორვეგიის წინააღმდეგ. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები 2:4 დამარცხდნენ, რაც სამშობლოში ტრაგედიად აღიქვეს. მასპინძელთაგან ორი გოლი ფლომ შეაგდო, თითოც ოსტენსტადმა და თბილისში ნათამაშევმა „მიოლდეს" ნახევარმცველმა პიტერ რუდიმ, სტუმართაგან — ჯალმინიამ და რომარიომ.**

**უკრაინის** ჩემპიონობა პარასკევს, ზედიზედ მეხუთედ მოიგო კიევის „დინამომ", როცა კიროვოგრადის „ზირკა ნიბასი" 6:1 დაამარცხა. ლობანოვსკის ბიჭებმა მეორე ადგილზე გასული დონეცკის „შახტიორი", რომელშიც ჩვენებური მიხეილ ფოცხვერია და გიორგი ჩიხრაძე თამაშობენ, 15 ქულით ჩამოიტოვეს.

**ისრაელის ნაკრების წევრი ეილ ბერკოვიჩი შესაძლოა „საუთჰემპტონიდან" „ვესტ ჰემში" გადავიდეს. ლონდონელთა მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა განაცხადა, მართალია, ბერკოვიჩს „ტოტენჰემი" გვეცილება, მაგრამ არა მგონია, რამე გამოუვიდეს, რადგან ეილს ისეთი პირობები შევთავაზეთ, უარს ნამდვილად არ იტყვისო.**

## ავსტრია

35-ე ტური. ტიროლი — კაზინო 1:4, ლინცი — ლინცერი 3:0, ადმირა ვაკერი — რიედი 3:1, შტურმი — რაპიდი 3:0, აუსტრია — ზალცბურგი 3:1.

**ზალცბურგმა ჩემპიონობა გაინაღდა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 35 | 19 | 11 | 5 | 54:25 | 68 |
| რაპიდი | 35 | 17 | 12 | 6 | 62:36 | 63 |
| შტურმი | 35 | 14 | 12 | 9 | 50:31 | 54 |
| ტიროლი | 35 | 15 | 7 | 13 | 45:40 | 52 |
| კაზინო | 35 | 11 | 13 | 11 | 39:42 | 46 |
| აუსტრია | 35 | 12 | 9 | 14 | 41:51 | 45 |
| ლინცერი | 35 | 9 | 17 | 9 | 38:43 | 44 |
| რიედი | 35 | 11 | 6 | 18 | 42:58 | 39 |
| ლინცი | 35 | 6 | 13 | 16 | 29:45 | 31 |
| ადმირა ვაკერი | 35 | 6 | 10 | 19 | 35:64 | 28 |

## რუსეთი

მე-12 ტური. ალანია — როტორი 3:2, დინამო — ჟემჩუჟინა 1:0, ლოკომოტივი — სპარტაკი 1:3, ბალტიკა — კამაზი 4:1, ნოვგოროდი — ტორპედო 1:0, კრილია სოვეტოვი — ცსკა 1:0, როსტსელმაში — ჩერნომორეცი 0:0, ტიუმენი — ზენიტი 0:1, ფაკელი — შინიკი 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 12 | 8 | 1 | 3 | 15:6 | 25 |
| სპარტაკი | 12 | 7 | 4 | 1 | 21:6 | 25 |
| როტორი | 12 | 7 | 3 | 2 | 18:8 | 24 |
| როსტსელმაში | 12 | 5 | 5 | 2 | 11:7 | 20 |
| ალანია | 12 | 5 | 2 | 5 | 18:12 | 17 |
| ტორპედო | 12 | 5 | 2 | 5 | 17:14 | 17 |
| ლოკომოტივი | 12 | 4 | 5 | 3 | 16:14 | 17 |
| ჟემჩუჟინა | 12 | 4 | 5 | 3 | 7:6 | 17 |
| ჩერნომორეცი | 12 | 4 | 5 | 3 | 11:11 | 17 |
| კრილია | 12 | 5 | 1 | 6 | 7:12 | 16 |
| ზენიტი | 12 | 4 | 3 | 5 | 7:12 | 15 |
| ბალტიკა | 12 | 3 | 6 | 3 | 12:10 | 15 |
| ცსკა | 12 | 4 | 2 | 6 | 9:14 | 14 |
| ნოვგოროდი | 12 | 4 | 2 | 6 | 6:12 | 14 |
| შინიკი | 12 | 3 | 5 | 4 | 9:15 | 14 |
| კამაზი | 12 | 4 | 0 | 8 | 12:23 | 12 |
| ტიუმენი | 12 | 2 | 4 | 6 | 7:12 | 10 |
| ფაკელი | 12 | 2 | 1 | 9 | 3:13 | 7 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ირლანდიის** ნაკრების მეკარე შონ გივენი, რომელიც გასულ სეზონში „ბლეკბერნში" თამაშობდა, გაისად „ნიუკასლში" იასპარეზებს. გივენმა ინგლისის ზედიზედ ორი სეზონის ვიცე-ჩემპიონთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**საფრანგეთის ქალაქ ტულონში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე 21 წლამდე ფეხბურთელთა შორის მორიგი შეხვედრები გაიმართა. პირველ ჯგუფში აშშ-ს ნაკრებმა 3:1 მოუგო კოლუმბიას, პორტუგალია და შოტლანდია კი დაზავდნენ 1:1. მეორე ჯგუფში მექსიკამ 30 მაისს ხორვატიას მოუგო 1:0, ხოლო 1 ივნისს ჰოლანდიასთან ფრედ 0:0 ითამაშა. იმავე დღეს მასპინძელმა ფრანგებმა 3:0 იმარჯვეს მაროკოსთან.**

**ისრაელის** ნაკრების წევრი, 1994 წელს საქართველოსთან შეხვედრაში ორი გოლის გამტანი ელი ოჰანა ქვეყნის სასამართლომ 19 ათასი დოლარით დააჯარიმა გადასახადების უგულებელყოფის გამო. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ოჰანა პროფესიონალურ ფეხბურთში მოღვაწეობისას ხშირად უმალავდა შემოსავლებს საგადასახადო ინსპექციას.

**კანადის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში, რომელიც ედმონტონში გაიმართა, ედი ბერდუსკოს ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა კოსტა რიკის ნაკრები.**

**შვეიცარიაში**, ფიფას შტაბ-ბინაში, ამ ორგანიზაციის მორიგ სხდომაზე ფიფას გენერალურმა მდივანმა [illegible] განაცხადა, [illegible] კონტრაქტით იქნება დაკავშირებულიო. მისი თქმით, მართალია, პროექტი განხილვის სტადიაშია, მაგრამ არ არის გამორიცხული, მომავალ წელს ამოქმედდესო.

**შოტლანდიის „რეინჯერსის" განცხადებით, იგი მზად არის რონალდოში 37 მილიონი გირვანქა გადაუხადოს „ბარსელონას". ქვეყნის ზედიზედ ცხრაგზის ჩემპიონთა თავმჯდომარემ დევიდ მიურეიმ თქვა, თუ რონალდოს ფული უნდა, მაშინ ჩვენთან წამოვიდეს, ოთხწლიანი კონტრაქტის მიხედვით სეზონში შვიდ მილიონ გირვანქას მივცემთ, მეტი რაღა უნდაო.**

**საფრანგეთის** ნაკრების მეკარე ბერნარ ლამა პლანის მოწვევისთვის ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ხუთი თვით მოკვეთა საკლუბო მატჩებიდან. ფიფას წარმომადგენელის ცნობით კი, ფიფა ლამას სანაკრებო ფეხბურთიდან ხუთი თვით მოკვეთას სრულიადაც არ აპირებს, რადგან, მათი აზრით, ეს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ უნდა გადაწყვიტოს.

**აზიაში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები. მეხუთე ჯგუფში ინდონეზიამ და უზბეკეთმა ფრედ 1:1 ითამაშეს. მეექვსე ჯგუფში სამხრეთ კორეამ სეულში ტაილანდთან 0:0 დაასრულა მატჩი. მერვე ჯგუფში ჩინეთმა 1:0 მოუგო ტყავაძოსა და გოგოლაძის თურქმენეთს, ხოლო ტაჯიკეთმა 4:0 გაანადგურა ვიეტნამი.**


# სარბიელი

## სპორტული ლატარია CROCO

**შვეიცარიის ჩემპიონატი. XIV ტური**

4 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| აარაუ — გრასჰოპერი | 4,2 | 3,4 | 1,5 |
| სიონი — ლოზანა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| [illegible] — სენტ გალენი | 1,1 | 5,6 | 9,0 |
| ციურიხი — ბაზელი | 1,8 | 2,9 | 3,4 |

**ტურნირი საფრანგეთში. I ტური**

3 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი — ბრაზილია | 2,4 | 2,5 | 2,5 |

4 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| იტალია — ინგლისი | 2,1 | 2,8 | 2,8 |

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**

7 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| საქართველო — მოლდოვა | ანგარიში — 4,5 | | |
| ბელგია — სან მარინო | 1,01 | 7,5 | 17,0 |
| 0:5 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| მაკედონია — ისლანდია | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| პორტუგალია — ალბანეთი | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| 0:2 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| უკრაინა — გერმანია | 4,7 | 3,2 | 1,5 |
| ნიგერია — კენია | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ლიბერია — ნამიბია | 1,5 | 3,1 | 5,0 |

8 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანია — ბოსნია | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| ფინეთი — აზერბაიჯანი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| უნგრეთი — ნორვეგია | 3,3 | 2,7 | 1,9 |
| ესტონეთი — შვედეთი | 9,0 | 5,6 | 1,1 |
| ლატვია — ავსტრია | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| ბელარუსი — შოტლანდია | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| რუსეთი — ისრაელი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ბულგარეთი — ლუქსემბურგი | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| 0:3 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| იუგოსლავია — სლოვაკეთი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| ფარერები — მალტა | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| ესპანეთი — ჩეხეთი | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| არგენტინა — პერუ | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ეკვადორი — ჩილე | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ურუგვაი — კოლუმბია | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ვენესუელა — ბოლივია | 5,6 | 4,0 | 1,3 |
| სალვადორი — მექსიკა | 4,7 | 3,2 | 1,5 |
| გვინეა — ბურკინა ფასო | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| ეგვიპტე — ტუნისი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| კონგო — ზაირი | 1,2 | 4,4 | 7,5 |
| სამხრეთ აფრიკა — ზამბია | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ანგოლა — კამერუნი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| ტოგო — ზიმბაბვე | 2,7 | 2,7 | 2,2 |
| გაბონი — სიერა ლეონე | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| მაროკო — განა | 1,6 | 3,0 | 4,4 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

ხელბურთი

# რუსეთი — ჩემპიონი, ყირგიზი — საუკეთესო

იაპონიის ქალაქ კუმამოტოში დასრულდა მსოფლიოს მე-15 ჩემპიონატი.

31 მაისს ნახევარფინალში ამ ჩემპიონატზე პირველად გაუჭირდათ რუსებს — ამათი და მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგების შეხვედრის ძირითადი დრო 21:21 დამთავრდა, დამატებით ხუთ წუთში მეტოქეებმა ორ-ორი გოლი გაიტანეს და მსაჯმა მეორე დამატებითი ხუთწუთეული დანიშნა. 8 წამით ადრე რუსებმა გადამწყვეტი გოლი გაიტანეს, 25:24 მოიგეს და მსოფლიოს ჩემპიონის ტახტიც გათავისუფლდა.

მეორე ნახევარფინალში შვედებმა იოლად, 31:19 მოუგეს უნგრელებს და ფინალში, სპეციალისტთა ვარაუდისამებრ, რუსები და შვედები გავიდნენ. შვედეთის გუნდი ამ ბოლო ხანს ყველაზე სტაბილურია მსოფლიოში და ყველა დიდ ასპარეზობაზე პრიზიორთა შორისაა, მაგრამ, მას მერე, რაც მათ 1990 წლის მსოფლიოს პირველობის ფინალში დაამარცხეს რუსები, მათთან მუდმივად აგებენ. ასე იყო შარშანაც, ევროპის ჩემპიონატის ფინალში. ამ ჩემპიონატში რუსებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და ფინალამდე ყველა მატჩი მოიგეს. შვედები მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ ჯგუფში — ფრანგებთან, თუმცა, საყოველთაო აზრით, ეს წაგება სტრატეგიული უფრო იყო, რადგან მატჩის შედეგს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ფინალი მეტად დაძაბული გამოდგა. საკმარისია ითქვას, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქეები სამზე მეტი ბურთით არ დაწინაურებულან. ეს მატჩი მეკარეების — ბენეტ იუჰანსონისა და ანდრეი ლავროვის დუელად იქცა, რადგან ორივე გუნდის თავდასხმის ლიდერები ხშირად უსხლტებოდნენ მცველებს. პირველი ტაიმის ბოლოს რუსებმა იძალეს და თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს ტაიმი 11:10.

მეორე ნახევრის დასაწყისში მაგნუს ვისლანდერმა და სტეფან ლოვგრენმა წინ გაიყვანეს თავისიანები, მაგრამ რუსებმა ატავინითა და იგორ ლავროვით გაამაგრეს დაცვის ცენტრი და მალე, გოპინის ზუსტი ტყორცნის შემდეგ კვლავ დაწინაურდნენ. გადამწყვეტი აღმოჩნდა მეორე ნახევრის მე-20 წუთი, როცა რუსები 18:17-ს იგებდნენ, შვედები კი მეტნი დარჩნენ მოედანზე, მაგრამ ხელსაყრელი ვითარებით ვერ იხეირეს, ის კი არა, პოგორელოვმა აქეთ შეუგდო გოლი. ამის შემდეგ რუსთა 34 წლის მეკარემ ანდრეი ლავროვმა შვიდმეტრიანიც მოიგერია და ამან რუსებს მთლად ფრთები შეასხა. მათ ბოლომდე შეინარჩუნეს ორბურთიანი უპირატესობა — 23:21 და მესამედ გახდნენ ჩემპიონები. რუსთაგან ყველაზე შედეგიანი ვალერი გოპინი იყო ხუთი გოლით, შვედთაგან — ვისლანდერი 6 გოლით. მატჩის გმირი კი მეკარე ანდრეი ლავროვი იყო, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა ეს ჩემპიონატი.

რუსების მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა მოთამაშემ ვლადიმერ მაქსიმოვმა თავისი გუნდის გამარჯვება მეკარისა და დაცვითი ხაზის კარგი თამაშით ახსნა.

მესამე ადგილისთვის აწ უკვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ფრანგებმა უნგრეთი 28:27 დაამარცხეს. ათი გოლი მათმა ლიდერმა სტეფან სტეკლენმა შეაგდო. მეხუთე ადგილისთვის ისლანდიამ ეგვიპტე დაამარცხა 23:20, მეშვიდისთვის — ესპანეთმა კორეა 33:26.

საუკეთესო ბომბარდირი ზედიზედ მეორე მსოფლიოს ჩემპიონატზე კორეელი იუნ კუინგ შინი გახდა 62 გოლით.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს გერმანიაში მოთამაშე ესპანეთის ნაკრების ყირგიზი წევრი ტალანტ დუშებაევი.

**ილია მხეიძე**

ჰოკეი

**NHL. სტენლის თასი**

## ფინალი

### ფილადელფია 0-1 დეტროიტი

**ფილადელფია — დეტროიტი 2:4**
**შაიბები: ბრინდამორი 11 (ლინდროსი, ნიინიმა, 8), ლეკლერი 8 (რენბერგი, ლინდროსი, 38) — მოლტბი 4 (დრეიპერი, 7), კოშური 1 (16), ფიოდოროვი 6 (მერფი, მაკარტი, 32), აიზერმანი 5 (მერფი, 41)**

ფილადელფიაში გამართულ ფინალის პირველ მატჩში დეტროიტმა იმარჯვა. ამ გამარჯვებას მით უფრო აქვს ფასი „წითელფრთიანებისთვის", რომ მათ ზედიზედ 8 ფინალური მატჩი წააგეს 1966 და 1995 წელს. მოგება მოგებად, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს თამაში უფრო ფილადელფიამ წააგო, ვიდრე დეტროიტმა მოიგო. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ მატჩი „მფრინავებმა" უკეთ დაიწყეს და მალე რიცხვმრავლობაშიც აღმოჩნდნენ. მაგრამ ეს უპირატესობა ქარს გაატანა ლინდროსმა, რომელსაც მოლტბიმ შაიბა აართვა და სწაფი კონტრიერიში გოლით დაასრულა. დეტროიტელები ჯერ კიდევ პირველ გოლს ზეიმობდნენ, რომ ფილადელფიის კაპიტანმა თავისი შეცდომა გამოასწორა — ნიინიმას შორეული დარტყმის შემდეგ მეკარეს შაიბა წაართვა და ბრინდამორს გაატანინა. მე-16 წუთზე მასპინძლებს მეორე შეცდომა გოლად დაუჯდათ: მცველ სამუელსონის უზუსტო პასი დეტროიტელმა კოშურმა ჩაჭრა და სტუმრები კვლავ დააწინაურა. ასე რომ, დეტროიტის მეომარმა სამეულმა პირველივე პერიოდში ორი შაიბა ჩაიწერა, თანაც ეს კოშურის პირველი სათასო წარმატებაა წლეულს (კარიერაში — 6).



პირველი გოლი ფილადელფიელთა კარში

სტუმართა შემდეგ გოლში მთლიანად ფილადელფიის გოლკიპერმა ჰექსტოლმა დაიდო ბრალი, რომელმაც ვერ შეაჩერა ფიოდოროვის არცთუ ძლიერად დარტყმული შაიბა. ისიც უნდა ითქვას, რომ მეკარე არც პირველ ორ შემთხვევაში იყო უბრალო, ამიტომაც დაატყდა თავს გაცხარებული გულშემატკივრების რისხვა. მოსალოდნელია, რომ მომდევნო მატჩში ფილადელფიის კარს კვლავ სნოუ დაიცავს. ამ გოლმა „მფრინავებს" ყველა იმედი გადაუწურა, მითუმეტეს, რომ დეტროიტმა ტრადიციად აქცია იმ თამაშების მოგება, რომლებშიც ფიოდოროვი ერთ ქულას მაინც აგროვებს (სულ 11 ასეთი შემთხვევა იყო). მასპინძლებს არც ფარ-ხმალი დაუყრიათ და ბოლომდეც იბრძოლეს, მაგრამ დარჩენილ დროში მეტოქეებმა მხოლოდ გოლები გაცვალეს. ლინდროსმა მეორე საგოლე კომბინაციაშიც მიიღო მონაწილეობა და 25 (11-14) ქულით თასის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ერთი სიტყვით, ბრძოლა ფინალში ახლალა იწყება და რაკი ძალზე კარგად თამაშობენ სტუმრად (7 მატჩში 6 მოგება), ბევრი რამ დეტროიტში, მესამე და მეოთხე მატჩში გადაწყდება.

**სამველ ლარიბიანი**

კალათბურთი

**NBA. პლეი-ოფი**

# ახალი ძველი გმირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ფინალი (4 მოგებამდე)

### I მატჩი

**1.06. ჩიკაგო. ანშლაგი — 25544 მაყურებელი**
**მსაჯები: რაში, ოუქსი, კროუფორდი**

### ჩიკაგო — იუტა 84:82

(17:18, 21:24, 24:22, 22:18)

**ჩიკაგო: პიპენი (27 ქულა), როდმანი (4), ლონგლი (6), ჰარპერი (4), ჯორდანი (31), კერი (0), კუკოჩი (6), ბიუხლერი (2), ვილიამსი (0), ბრაუნი (4)**
**იუტა: რასელი (7), მელოუნი (23), ოსტერტაგი (2), სტოქტონი (16), ჰორნაჩეკი (11), ეისლი (9), ფოსტერი (6), ანდერსონი (2), კარი (6), მორისი (0)**

ცამდე მართალნი ყოფილან მესვეტეები — გოგი აზვლედიანი და ჯო პოზნანსკი: ახალი უძვირფასესი მოთამაშე (MVP) კარლ მელოუნი თუმც კარგი კალათბურთელია, მაგრამ დიდ მაიქლ ჯორდანთან ახლოს მაინც ვერ მივა.

ეს ფინალური სერიალის პირველმა თამაშმაც დაადასტურა. საქმე მარტო ის კი არაა, რომ ჯორდანმა კონკურენტზე მეტი ქულა მოაგროვა და ფარზეც მეტი ბურთით მოხსნა, არამედ ის, რომ გადამწყვეტ მომენტში გუნდს წასაგები მატჩი მოაგებინა.

ბოლო სირენამდე 10 წამი რომ რჩებოდა, მელოუნმა ორი საჯარიმო გააფუჭა. ანგარიში საყაიმო დარჩა. მერე, ბოლო წამზე ჯორდანმა ნახტომში ორქულიანი ესროლა და ჩააგდო.

„ბულზმა" გაიმარჯვა, სერიაში 1-0 დაწინაურდა და ხვალ ისევ უმასპინძლებს „ჯაზს".

ტანვარჯიში

# ქართული ტანვარჯიშის საუკუნე

1897 წელს ჩეხმა ტანმოვარჯიშემ გრუმლიკმა თბილისში თანამოაზრენი მოიძია და „ტანვარჯიშული საზოგადოება" დააარსა. მალე გრუმლიკი ასევე ჩეხმა ანტონ ლუკეშმა შეცვალა. ლუკეშმა ქართველ ტანმოვარჯიშეებს იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერესი სატანვარჯიშო კლუბის „სოკოლის" ფილიალიც დაუარსა თბილისში და 1907 წელს თავისი სამშობლოს დედაქალაქ პრაღაშიც წაიყვანა ქართველი ტანმოვარჯიშენი. ჩვენებურთა დებიუტი წარმატებული გამოდგა — პრაღაში გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს. ორიოდ წელიწადში კი ქართველებმა ნამდვილი სასწაული მოახდინეს — „სოკოლის" 298-გუნდიან ტურნირში პირველობა არავის დაანებეს და მათზე გამოცდილ და სახელოვან სპორტსმენებს აჯობეს.

100 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გრუმლიკმა საქართველოში ტანვარჯიში „ჩამოიტანა". საუკუნოვანი იუბილე საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციამ, როგორც შეძლო, ისე აღნიშნა. პეტრიაშვილის ქუჩის ცნობილ სატანვარჯიშო დარბაზში ძველი და ახალი თაობების ტანმოვარჯიშეებმა მოიყარეს თავი. ძველები ტრიბუნაზე ისხდნენ, ახალგაზრდებმა კი სარბიელს მიაშურეს და ლამაზი მოძრაობებითა და მალაყებით წინამორბედებს ძველი დროება გაახსენეს.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა გალინა შარაბიძემ და მისმა მეუღლემ, ასევე ყოფილმა ტანმოვარჯიშემ რეზო შარაბიძემ ამ დღეისთვის საგანგებო პრიზებიც დააწესეს — შესაბამისად ქალთა და ვაჟთა ტურნირებში გამარჯვებულთათვის. თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ კანკავამ კი მეტად ორიგინალური საჩუქარი გადასცა იუბილარებს — წმინდა გიორგის ჭედური ხატი. არც უცხოელებმა დაივიწყეს ჩვენებურთა სიხარული: მსოფლიოსა და ევროპის ტანვარჯიშის ფედერაციები შეეხმიანენ ჩვენს ფედერაციას — იუბილეს გილოცავთო. უკრაინელებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა და შუაზიელებმაც გამოგზავნეს მისალოცი დეპეშები. რუსეთის ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი და რუსთა ნაკრების მწვრთნელი ლეონიდ არკაევი კი თბილისში ეახლა ქართველ კოლეგებს. მისი საჩუქარიც მეტად ლამაზი იყო — რაც მთავარია, საიუბილეო ბანკეტზე არკაევის მორთმეული თასი განსხვავებულ სასმისად გამოდგებოდა.

**ლევან ჯავახიშვილი**



ტფილისი, 1897 წელი, გიმნასტიკური საზოგადოება „სოკოლის" პრეზიდიუმი

# ქართული მუშტებით ტაილანდში

ახლახან ქართული კრივის ფედერაციის ნაკრებმა ტაილანდის ქალაქ ბანგსაი ბიჩში გამართულ ტაილანდური კრივის მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზა.

საქართველოს წარგზავნილთაგან ყველაზე უკეთ გამოვიდა დევი დიკუსარი, რომელიც შინ ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა. წოდებები შეიმატა ქართული კრივის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ზუკაკიშვილმაც — იგი ტაილანდური კრივის მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორატის წევრადაც აირჩიეს ოთხწლიანი ვადით და საერთაშორისო მსაჯის კატეგორიაც მიანიჭეს.

აგვისტოში ქართული კრივის ფედერაციის ნაკრები მიწვეულია ინგლისში, ტაილანდურ კრივში ევროპის ჩემპიონატზე

მძლეოსნობა

# სიაფანდობა!

სპორტის სტაჟიან გულშემატკივარს კარგად ეხსომება მოკრივე ალისა და კეტჩისტ ინოკის „საუკუნის შერკინება", ნაღდი ფარსი რომ გამოვიდა. პრომოუტერებმა ქვეყანა შეყარეს, მსოფლიოს უძლიერეს კაცს გამოგივლენთო, მორკინალებმა კი 15 რაუნდი ისე გალიეს, რომ ერთმანეთისთვის არც დაურტყამთ.

მსგავსი რამ მოხდა კვირა ღამით ტორონტოს (კანადა) „სქაი-დოუმში". შოუ ვერ ვარგოდა. მაყურებელმაც თითქოს წინდაწინვე იგუმანაო და 45-ათასიან დარბაზში მხოლოდ 25 ათასი მოგროვდა.

სეირის თვალი — 150 მეტრზე მასპინძელი დონოვან ბეილისა და ამერიკელი მაიკლ ჯონსონის გაჯიბრება სიაფანდობა გამოდგა. დისტანციის ნახევარი რომ გაირბინა, ჯონსონმა მარცხენა ბარძაყზე ხელი იტაცა და სირბილი შეწყვიტა. ბეილიმ ფინიშის სწორზე მარტომლა გაუტია; თან უკან იხედებოდა და გავარდნილ მეტოქეს ხელს უქნევდა. მიუხედავად ამისა, კანადელის შედეგი — 14,99 წამი ურიგო როდია.

. შოუს ფოიერვერკი ახლდა. ძლეულმა ჯონსონმა ვაჟკაცურად ჩამოართა ხელი ტრიუმფატორს. ამან დარბაზს გმირის ღარად შემოურბინა, რაც კიდეც ეკუთვნოდა, სხვაფრივ კი ჯენთლმენურად როდი მოქცეულა.



ძლეული ჯონსონი ექიმ დედაკაცს წამოუწვა, მძლეველი ბეილი კი საყვარელ მიშელ მალინს და ქალიშვილ ადრიენას მიეფერა



შოუს წარდგენისას ვკითხეთ, მძლეოსნობაა თუ კრივიო. მართლაც კრივის მსგავსი რამ ვიხილეთ. შეჯიბრის დილას ბეილი გაჭირვეულდა, ორგანიზატორებმა პირი გატეხეს და ვირაჟი 75-მეტრიანის ნაცვლად 85-მეტრი გააკეთეს, რაც ჩემს მეტოქეს ხელს აძლევსო.

ბეილი ზედ სტარტის წინ მოლბა და მოკრივეთა ყაიდაზე ამღერდა, ესაო და, ჩემი ქვეყნის, ოჯახისა და იდეისათვის ვირბენო. ჯონსონი რომ დაამარცხა, თითქო ბაქია მოკრივე არისო, ბრძანა, სტარტისთანავე მიხვდა ჯონსონი, რომ ვერ მაჯობებდა, და ამიტომ დამნებდაო. ამერიკელი ხომ მარცხს ვერა გუობსო. ბეილიმ უფრო შორსაც გაუტია: დროა ნაღდი სპრინტერები შემაჯიბრონ, რადგან მაიკლი სპრინტერი არასოდეს ყოფილა, იგი ხომ 200 და 400 მეტრზე დარბისო.

ჯონსონს თავი ისე ეჭირა, როგორც დამარცხებულს შეშვენის. ბეილის შენიშვნათა გამო თქვა, ახლა კი ცხადია, რა პიროვნებააო. მერე ისიც დაურთო, რაკი მის გამო არაფერს ვამბობ, თავადვე მიმიხვდებით, რა ვარო. აფერუმ! ესეც კრივისეული იყო!

ერთი საგულისხმო დეტალიც: შეთანხმებისამებრ, მონაწილეებს 500 ათასი დოლარი გარანტირებული ქონდათ, გამარჯვებულს კი კიდევ მილიონი უნდა მიეღო. ჯონსონმა გარისკა და მეტოქეს შესთავაზა, მოდი, გარანტიას რად ვაქნევთ; ავდგეთ და მოგებულისთვის დავთქვათ



დაქანცულმა გაბრესილასიემ თქვა, მსოფლიო რეკორდმა ისე გამახარა, თითქოს მილიონიმართლაც მომეგოო

მთელი ქისა — 2 მილიონი დოლარიო. წინდახედულმა ბეილიმ არა ქნა და როგორც გაირკვა, ნახევარი მილიონი დაკარგა.

შაბათს, ალმოსავლეთ ჰოლანდიის ქალაქ ჰენგელოში, ადრიაან პაულენის მემორიალზე, ფანი ბლანკერს-კუნის სახელობის სტადიონზე რომ გაიმართა, 2 მილზე სირბილის მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა 24 წლის ეთიოპმა ჰაილე გაბრესილასიემ. და მაინც, მისმა შედეგმა (8.01,08) მილიონი დოლარის მოსახვეჭად ვერ იკმარა, რადგან მორბენალი 8-წუთის ფარგალში ვერ ჩაეტია.

გაბრესილასიე 27 წლის ალჟირელ ნურადინ მორსელის ეჯიბრებოდა. ეთიოპი თუ უფრო 5 და 10 ათას მეტრზე სირბილის სპეციალისტია, ალჟირელი უკეთ მილის მახლობელ დისტანციებზე (1500, 2000 მეტრი) დარბის. ამის გამო ორ მილზე ფავორიტად იგი მიაჩნდათ, მაგრამ გაბრესილესიემ უსიტყვოდ გაიმარჯვა: მორსელიმ ბოლო წრეზე დისტანცია მიატოვა, ესაო და, არასწორად ვემზადე და მეტისმეტად დავიღალეო. ამის გამო მარტოდ დარჩენილმა ეთიოპმა სანუკვარი ზღუდე ველარ დაძლია. არადა, თავიდან „პეისერთა" (გამქცუნებელ მსახურთა) წყალობით გრაფიკს საკმაოდ უსწრებდა.

ჰოდა, მორსელის თავის მართლების გამგონე სპორტის ქომაგს ნუ გავამტყუნებთ, თუ აქაც სიაფანდობის ნიშნებს შენიშნავს.

**რეზო ნემსაძე**

# რაგბი

## ზე-12-ის სერიალი

# თავით-ჯახი თავ-სხმაში!

მძლეთა-მძლე ოქლენდმა სამხრეთი ნახევარსფეროს (და მთელი მსოფლიოსიც!) უძლიერესი პროვინციის ტიტული წელსაც შეინარჩუნა. დიდმა 8 ნომერმა ზინზან ბრუქმა კვლავ შემართა ზე-12-ის თასი. მავანი თანაგუნდელი მას უჩუმრად უკან დაუდგა და ხუმრობით რქები შეაბა.



დერეფანში ისე წევდნენ, თითქო პირამიდააო!

სიდნი მორნინგ ჰეროლდის ფოტო

არადა, ზინზანს სულაც არ ეხუმრებოდა. თამაშის ბოლოს მისმა ბიჭებმა ტრადიციულად თვალი წაატყუეს, კანბერელი რაშები კი გალომდნენ და მაგრად შეუტიეს. მიკი-მაუსად ცნობილი 9 ნომერი ჯორჯ გრეგანი, ამერიკელთა მიბაძვით ფინალამდე რომ შერაცხეს სერიალის უძვირფასეს მოთამაშედ (MVP), მოკლე ფრთაზე უშნოდ დაძვრებოდა. ჰოდა, ზინზანმაც 70-ე წუთზე ჯიგრიანად შებოჰა. ორი დიდი მოთამაშის თავები, რალაც ეშმაკად, ერთმანეთს მიეხალა. გრეგანი საკაცით გაასვენეს, ზინზანი კი თამაშის ბოლომდე ბარბაცებდა. და მაინც, ორივე დაშავებული დაჯილდოებამდე ჯანზე მოვიდა და მედალიც ჩაიბარა.

ფინალი ღირსეულ მეტოქეთა შებმა იყო. ოქლენდმა კანბერას აჯობა, მაგრამ ვერ დაჯაბნა. საუბედუროდ, დიდი რაგბი არ გამოვიდა, რადგან კოკისპირულადა წვიმდა, მოედანი კი ტალახის აბაზანასა გავდა. თუმც ოქლენდს საგანგებოდ ჩააცეს ტრადიციულისაგან მკვეთრად განსხვავებული ფორმა, მეტოქეები მალე ისე დაეფერნენ ერთმანეთს, რომ გარჩევა მსაჯსაც უჭირდა.

გუნდებმა ტაქტიკა ამინდის შესაფერი შეარჩიეს: უკანა ხაზს რომ ვერ აბურთავებდნენ, შერკინების სიახლოვეს ბურთის დაჭერას ეშურებოდნენ. ანგარიშის გახსნის შანსები ორივე გუნდს ქონდა.

ოქლენდი მეორე მეოთხედიდან მიეძალა კანბერის ლელოს. ზინზანმა ჯარიმის სანაცვლოდ ზედიზედ 7-ჯერ (!) ითხოვა შერკინება, მაგრამ კანბერის რვეული, ოქლენდისაზე მძიმე და თითქმის 900 კილო რომ იყო, ფეხმოუცვლელად იდგა. ბოლოს ძალამ მაინც გახნა ალმართი: ზინზანი ხარივით წავიდა და თუმც დასცეს, ბურჯმა დაუდმა 10 ნომერ ნოქსს გადაუარა. პირველი ლელო!

თუმც ირგვლივ ყველაფერი სველი იყო, ქეშმორმა ამ დღეს სასწაულად ურტყა — ხუთი ცდიდან ხუთი გოლი შეაგდო. ანგარიში 16:0 იყო, დინჯმა ვეტერანმა ფლანკერმა მაიქლ ჯოუნზმა, მეტსახელად „აის-მენმა“ (ყინულ-კაცმა), ავსტრალიელებს გადაცემა რომ ჩაუჭრა და ლელომდე 20 მეტრი არხეინად გაირბინა 23:0.

ფინალი

31. 05. ოქლენდის „იდენ პარკი“ (37 ათასი მაყურებელი). ოქლენდის ლურჯები (ახალი ზელანდია) 23 (10) (2ლ: დაუდი 28', მ. ჯოუნზი 58'; 2გ, 3ს (38', 48', 55'): ქეშმორი) — დედაქალაქის ველური რაშები (კანბერა, ავსტრალია) 7 (0) (ლ (66'), გ: როფი). მსაჯი ტაპე პენინპი (სამხრეთი აფრიკა)

კანბერა ბედს მაინც არ შერიგებია, რისთვისაც ნამატჩევს მეტოქის ქება დაიმსახურა. ოქლენდმა დაცვის 13-კაცა, ლიგის რაგბისეული ორგანიზაცია გამოავლინა: თითო „რაშს“ ერთთავად ორი „ლურჯი“ ბოჭავდა. ზინზანმა ჯორჯი რომ დასცა, ალბათ გამონაკლისი თუ იყო.

აგრე არ უნდაო და სერიალის უპირველესმა მელელოვემ, კანბერელმა ჯო როფმა. მაინც გაინავარდა და სეზონის მე-15 ლელო თავადვე გარდასახა. თამაშის ბოლოს ნორჩი როფი და ოქლენდის ბებერი კვაჰი შონ ფითსპატრიქი კიდევ მისდევდნენ მასპინძელთა ლელოსკენ გაგორებულ ბურთს, მაგრამ განგებამ ბებერი დაიფარა — როფი დასრიალდა და ბურთი ვერ აილო.

დაიფარავს თუ არა განგება კანბერას, ჯერაც გასარკვევია. რაკი ავსტრალიის რაგბის კავშირთან სარფიანი კონტრაქტი მხოლოდ სამ „რაშსა“ აქვს გაფორმებული, ბობოლა მეზობლები — ახალი სამხრეთი უელსი და ქვინზლენდი „რაშების“ გაწეწვას აპირებენ. ჭორად იმასაც ამბობენ, თუ ქვეყნის ნაკრებ „ვოლაბებს“ წელს კიდევ წაუცდება ფეხი, „რაშთა“ ნოვატორ მოძღვარ როდ მაკქვინს ერის უპირველეს რაგბის გუნდს ჩააბარებენო.

ლუკა ჯორჯიაშვილი

## ლომები აფრიკაში

■ თამაში. 31. 05. ქეიფთაუნის „ნიულენდზი“). დასავლეთი კონცხი 21 (14) (3ლ: მიუირი 2, ბრინკი; 3გ: მონთგომერი) — ბრიტანელი ლომები 38 (18) (4ლ: ბენთლი 2, თეითი, ევანსი; 3გ, 4ს: სთიმფსონი). მსაჯი არი სხუნვინკელი (აფრიკა)

ქეიფთაუნი აფრიკული რაგბის ადგილის დედა, რაგბში ყველაზე სახელმოხვეჭილი პროვინციის დედა-ქალაქი და ქვეყნის მოწინავე ტესტ-ასპარეზია. ხრიოკ მაგიდა-მთის ძირში გაშენებული საქეიფო ქალაქის მთავარ არენა „ნიულენდზზე“ 21 ივნისს აფრიკელი „ქურციკებისა“ და ბრიტანელი „ლომების“ სამტესტა სერიალის პირველი მატჩი გაიმართება.

### პირველი გამოცდა

და მაინც, პირველი სერიოზული გამოცდა „ლომებმა“ ტესტამდე სამი კვირით ადრე, ქეიფთაუნშივე ჩააბარეს. გამომცდელი იყო იქაური „დასავლეთი კონცხი“. იგი ზე-12-დან თუმც შარშან „გავარდა, მისმა მოძღვარმა ჰარი ვილჯოენმა უკვე საკმაოდ აკრიტიკა წლევანდელი სერიალის მონაწილე აფრიკული გუნდები, „ლომები“ კი დიდად აქო, ესაო და ისე დინამიურ რაგბსა თამაშობენ, რომ ზე-12-ში არც დაესიზმრებათო. ალბათ სწორედ ამაზეა ნათქვამი, გემოვნებაზე არ დაობენო.

„ლომებმა“ კონცხს ინგლისური შერკინება დააჯახეს — 8 ნომრად თიმ როდბერი იდგა და მხოლოდ კვაჰი ბრაიან ვილიამსი იყო უელსელი. სამაგიეროდ, უკანა ხაზში კელტები ანგლო-საქსებზე მეტნი იყვნენ.

თავიდანვე ვთქვათ — აფრიკელებმა სტუმართა ფორვარდები დაჯაბნეს: ბრიტებს მათსავე შეგორებაზე უკან ახევინებდნენ. კონცხის კაპიტანმაც, შუამარბმა დიკ მიუირმა ორივე ლელო ახლოდან, მოკლე ფრთაზე გარღვევით გაიტანა. სტუმრებმა თუ არ წააგეს, ისევ და ისევ საზრიანი ბექების გამოისობით. ამათ თავიდანვე შეუბერეს: შოტლანდიელმა გრეგორ თაუნზენდმა (10) მულატი ინგლისელი ჯერემი გასქოთი (12) დაიხმარა და ნალიგარი ინგლისელი (ბუნებაში იშვიათობაა!) ჯონ ბენთლი (11) ლელოსკენ გააქცუნა.



„ლომთა“ აქტივშია ისიც, რომ ინგლისელმა თიმ სთიმფსონმა (15) თავი კარგ დამრტყმელად გამოიჩინა — 8 ცდით 7 გოლი გაიტანა. ბრიტები ერთი პირობა 13:0 დაწინაურდნენ, მაგრამ 48-ე წუთზე წინ უკვე ქეიფთაუნის გუნდი იყო 21:18.

სთიმფსონის ორი საჯარიმოთი „ლომები“ ისევ წინ გავიდნენ. მერე დადგა უელსური ჯადოქრობის ჯერი: რობ ჰაული (9) 30 მეტრს დიაგონალურად გაიქცა, მერე კი ბურთი შორს გადაუგდო ბებერ იაიან ევანსს (14), ვინაც ლელოში ალამთან შევარდა. ამით კონცხი გატყდა, ბოლო ლელომ კი „ლომების“ უპირატესი სტატუსი ანგარიშსაც დაატყო.

ტურნეს შემდეგ მატჩს ბრიტები ხვალ, პაიფელდტის ზეგანზე, ქალაქ ვიტბანკში გამართავენ. მათი მეტოქე იქნება მპუმალანგა (ყოფილი სამხრეთ-აღმოსავლეთი ტრანსვაალი).

ნიკო ვეფხვაძე

ეშხიანი ჯერემი გასქოთის ალაგვმას ცდილობს ქეიფთაუნელთა მცველი ჯასთინ სვართი

როიტერი ქეიფთაუნიდან

# ტელევიზია

## საქართველოს დროით!

დღეს, სამშაბათს, 3 ივნისს

11.30 მძლეოსნობა: მარტკოს ქვიშის მარათონი; 12.00 ავტორბოლა: კარტ. პი-პი-ჯის მსოფლიო სერიალი. ვესტ-ალისიდან (ვისკონსინი, აშშ); 14.00 მძლეოსნობა: ტანჯის გრან-პრი. ჰუნდენიდან (საფრანგეთი); 14.30 მძლეოსნობა: მსოფლიოს უსწრაფესი კაცი. ტორონტოდან; 15.00 (პ) ჩოგბურთი: საფრანგეთის ღია პირველობა. IX დღე; 23.00 ფეხბურთი: ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი. ხორვატია — მექსიკა; 23.00 (-) საფრანგეთი — პოლანდია; 1.00 ავტორბოლა: ტურ-კარი; 2.00 „პაემანი“: საფრანგეთის ღია (რ); 3.00 ცხენოსნობა: ერთა თასი. შვეიცარიიდან; 4.00 აფროსნობის ჟურნალი (4.30-მდე)

ხვალ, ოთხშაბათს, 4 ივნისს

11.30 ოლიმპიური ჟურნალი; 12.00 ცხენოსნობა (-); 13.00 ფეხბურთი: ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი (-); 14.00 ცურვა: „ჩვენი ზღვა“. ბარსელონიდან; 15.00 (პ) ჩოგბურთი: საფრანგეთის ღია. X დღე; 23.00 ავტო-ჟურნალი „სიჩქარეთა სამყარო“; 1.30 ველორბოლა: საფრანგეთის ტურის გზამკვლევი; 2.00 „პაემანი“; 3.00 კრივი: მძიმე წონა. შულცი — ვალდესი; 4.00 მოტოკროსის ჟურნალი „ქიქ“ (4.30-მდე)

(-) იგივე; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

# მოტოციკლი

კვირას, ცელტვეგში, ავსტრიის დიდ პრიზზე გაიმარჯვეს: 125 კუბური სანტიმეტრის კლასში — იაპონელმა ნობორუ უედამ (ჰონდა), 250 კუბ. სმ-ში — ფრანგმა ოლივიე ჟაკმა (ჰონდა), 500 კუბ. სმ-ში — ავსტრალიელმა მაიქლ დუენმა (ჰონდა).

# ჩოგბურთი

## როლან გაროსი

# ბობოლები მოისრნენ







განთესილთა მსრველები: (მარცხნიდან) მაგნუს ნორმანი, ფილიპ დევულფი, გუსტავო კერტენი

როიტერი პარიზიდან

საფრანგეთის ღია პირველობაზე დღეიდან მეოთხედფინალებია, მასპინძელთა საქმე კი უკვე ცუდადაა: უკლებლივ ყველა მათგანი გავარდა. გამოეთიშა შეჯიბრს პირველი ნომერიც — ამერიკელი პიტ სამპრასი, რაც გასაკვირი სულაც არაა, რადგან ბოლო ათი წლის განმავლობაში კლასიფიკაციის ლიდერმა ერთადერთხელ — 1992 წელს გაიმარჯვა. იგი ამერიკელი ჯიმ კურიე იყო.

სამპრასი და მასპინძელთა ტურფა მარი პირსი (10) პარასკევს კუჭის აშლილობამ შეაწუხა. ძნელი სათქმელია, ამ ცნობილმა ხალხმა ერთად რა მიირთვა, მაგრამ ქალი უფრო გამძლე რომაა, ახალი ამბავი სულაც არ უნდა იყოს. მარიმ მაინც გაიმარჯვა — 6:1, 6:3 ძლია თანამემამულე სანდრინ ტესტუ და მერვედფინალში გავიდა, სადაც კვირას ველარ გაუმკლავდა მონიკა სელეშს (აშშ, 3) და 4:6, 5:7 წააგო.

სელეშს თან ვერ ახლავს მამამისი კაროი, ვისაც კუჭის კიბოს წამლობენ. სამაგიეროდ, ქალისთვის ჩაუკითხავს მეგობარს (ამისი სქესი როიტერს არ დაუზუსტებია!) და გულის გადასაყოლებლად ლუვრში წაუყვანია.

სამპრასს თამაში რამდენიმე საათით გადაუდეს, მაგრამ მაინც წააგო 65-ე ჩოგანთან, შვედ მაგნუს ნორმანთან — 2:6, 4:6, 6:2, 4:6. ნორმანი ამ დღეს 21 წლისა შესრულდა და ამ შეჯიბრებამდე დიდი სლემის ტურნირებში ერთი მატჩი რაა, ისიც ვერ მოეგო.



სამპრასს მუცლის სალმობა ჭირდა, მაგრამ ნორმანმა რომ მოუგო, ბიჭს გამარჯვება მაინც არ დაუკნინა და კაცურად აღიარა, მაჯობაო

როიტერი პარიზიდან

რაც შეეხება სამპრასს, მას დიდი სლემის ცხრა ტურნირი აქვს მოგებული, მაგრამ პარიზში ვერც ამჯერად გაიმარჯვა, თუმც კი მერვედ ასპარეზობდა.

მეორე ფავორიტს, ავსტრიელ თომას მუსტერს (5) 6:7 (3-7), 6:1, 6:3, 3:6, 6:4 მოუგო 66-ე ჩოგანმა, ბრაზილიელმა გუსტავო კერტენმა. ამ ბიჭს ხისტ კორტებზე დაუმარცხებია თვით აგასი და ფერერა, ჩოგბურთს კი სულ ექვსი წელია, რაც თამაშობს, რადგან მანამდე ფეხბურთელობდა.

შაბათის მთავარი თამაში ორი 16 წლის გოგოს — მარტინა ჰინგისის (შვეიცარია, 1) და რუსი ანა კურნიკოვას შეხვედრა იყო. ჰინგისმა ძალზე იოლად 6:1, 6:3 მოიგო. კვირას მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ერთობ უცნაური ანგარიშით 6:3, 0:6, 6:0 ძლია ბარბარა პაულუსი (ავსტრია, 16). ამ დღეს საშინლად ძლიერი ქარი ქროდა, რამაც ბევრ ძლიერს აურია დავთარი..

სხვა მერვედფინალები: შტეფი გრაფი (გერმანია, 2) — ირინა სპირლეა (რუმინეთი, 13) 6:7 (4-7), 6:2, 6:2; ივა მაიოლი (ხორვატია, 9) — ლინდზი დავენპორტი (აშშ, 5) 5:7, 6:4, 6:2; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 6) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:4, 6:2; ამანდა კუტცერი (სამხრეთი აფრიკა, 11) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 7) 6:7 (4-7), 6:4, 6:3; მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 12) — ლიზა რეიმანდი (აშშ) 6:7 (4-7), 6:2, 6:2; რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) — ნიკოლ არენდტი (აშშ) 6:1, 6:4.

მეოთხედფინალში ითამაშებენ: ჰინგისი — სანჩეს-ვიკარიო, სელეში — ფერნანდესი, მაიოლი — დრაგომირი, კუტცერი — გრაფი. ბედის ირონიაა თუ სხვა რამ, ზორბა შტეფი ისევ ვერ აცდა ჩია ამანდას, რომელმაც წელს უკვე ორჯერ დაამარცხა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი.

ნორმანმა სამპრასის გაგდება არ იკმარა და კვირას მას მარკ როსეც (შვეიცარია, 15) მიაყოლა 4:6, 6:3, 7:6 (7-3), 6:3, რომელმაც ერთობ გაუგებრადა ბრძანა, დედა ტერეზა ხომ არ გგონივართო. სამპრასისა და მუსტერის გავარდნის შემდეგ ფავორიტად შერაცხული ალექს კორეჩა (ესპანეთი, 8) იმსხვერპლა ბელგიელმა ფილიპ დევულფმა 5:7, 6:1, 6:4, 7:5. ამით შარშანდელ ჩემპიონს, რუს ევგენი კაფელნიკოვს ტიტულის შენარჩუნების შანსები გაუუმჯობესდა: სოჭელმა ჟენიამ, ვისაც ტრავმის გამო სამი თვე გაუცდა, დამაჯერებლად — 6:2, 6:3, 7:5 ძლია „სკადი“, ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისი.

ისე კი, კაფელნიკოვი მაინც ერთობ მოკრძალებული ყმაწვილი ყოფილა. თუმც ჩემპიონია, პარიზში თითქმის ვერავინა ცნობს და როლან გაროსზე რომ შედის, იქაც კი თურმე პირადობის მოწმობას თხოვენ.

ირაკლი ნინუა

„სარბიელში“

რეკლამის მოსათავსებლად

დარეკეთ

95 26 90

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29